პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 225 (11531) | შაბათი, 26 სექტემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს აიოვას შტატის უნივერსიტეტი ქალაქ იიმსში. ხურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი მეოჯახეობის ფაკულტეტის ერთ-ერთი ჯგუფის მეცადინეობაზე.
ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა. (სურათი მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტორგანიზაციათა პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის გამოცდილების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტორგანიზაციათა პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მათ აქტიური საქმიანობა გააჩაღეს და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. კომისიები, რომელთა შემადგენლობაში არჩეული არიან სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები — მოწინავე მუშები, წარმოების ნოვატორები, სპეციალისტები, პარტიული ბიუროების ხელმძღვანელობით იბრძვიან წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის, რაც დადებითს გავლენას ახდენს საწარმოთა მუშაობაზე.

რვა თვის დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში კიროვის სახელობის ქარხანამ შეასრულა 106,3 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის დარგში — 105,7 პროცენტით; 26 კომისრის სახელობის ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 101,9 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 112 პროცენტით.

კომისიებმა მოაწყეს სისტემატური კონტროლი ქარხნების მიერ საწარმოო დავალებების, სახელმწიფო დაკვეთებისა და კოოპერირებულ მიწოდებათა დროულად შესრულებისადმი.

საექსპორტო ჩარხების გამოშვებისადმი კონტროლის კომისიის (კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. აგასიანი) აქტიური მონაწილეობით აგვისტოში, 1959 წლის ივლისთან შედარებით, კიროვის სახელობის ქარხანაში 1,7-ჯერ გადიდდა უფრო მაღალი ხარისხის საექსპორტო ჩარხების გაგზავნა.

ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა 26 კომისრის სახელობის ქარხანაში სახელმწიფო დაკვეთების შესრულებისადმი კონტროლის კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. ხატისოვა). მან ღრმად შეისწავლა თამბაქოს საშრობის წარმოების სახელმწიფო დაკვეთის შეუსრულებლობის მიზეზები. პარტბიუროს ხელმძღვანელობით კომისიამ შეიმუშავა ამ მანქანის გამოშვების დაჩქარების ღონისძიებანი. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მიმდინარე წლის სექტემბერში დამზადებულ იქნება თამბაქოს პირველი საშრობი.

კიროვის სახელობის ქარხანაში ვერ სრულდებოდა ნაკადური წარმოების სპეციალური ჩარხების ათვისების გეგმა. ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმების შესრულებისადმი კონტროლის კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე ამხ. ლ. გოგიჩაძე) წარმოების ნოვატორებისა და სპეციალისტების დახმარებით გამოარკვია მაღალი წარმადობის მოწყობილობის მოცდენის მიზეზები. პარტორგანიზაციამ და დირექციამ ერთად განიხილეს კომისიის წინადადებანი, მიიღეს ღონისძიებები და უკვე აგვისტოში ათვისებულ იქნა პირველი სამი სპეციალური ჩარხი, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ერთ-ერთი ურთულესი დეტალის — სერიული წარმების ჩარხის შპინდელის დამუშავების ავტომატიზაციის დამთავრება.

26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გეგმების შესრულებისადმი კონტროლის კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. ოსიპოვი) პარტბიუროს და ადმინისტრაციის წინაშე დააყენა საკითხი 275 ათას მანეთად ღირებული 630-ტონიანი საიმპორტო წნეხის შესახებ, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე უმოქმედოდ იყო და 1959 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ბრძანებით ქუთაისის საავტომობილო ქარხანას გადაეცა. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს წნეხი ჯერ კიდევ ადგილზეა, პარტიულმა ბიურომ განიხილა კომისიის წინადადება და სთხოვა სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოჰყოს საჭირო სახსრები წნეხის დადგმის სამუშაოთა დასამთავრებლად.

პარტიული კონტროლის კომისიები სისტემატურად ადევნებენ თვალყურს საწარმოთა მუშაობის მსვლელობას. ისინი ოპერატიული წესით ავლინებენ ნაკლოვანებებს და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საწარმოებს მათს აღმოფხვრაში. მაგალითად, კიროვის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის სპეციალური ჩარხების გამოშვებისადმი კონტროლის კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. ვერშკოვიჩი) გამოავლინა სამილე ჩარხის საბაზისო და ნაჭედი დეტალების დეფიციტის მიზეზები და ხელი შეუწყო იმ დეტალების დეფიციტის აღმოფხვრას, რომლებიც საჭირო იყო ამ ჩარხების გამოსაშვებად სექტემბერში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული კომისიების წევრები შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ მათ მიერ შემჩნეულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციაში.

კიროვის სახელობის ქარხანაში შეუწყნარებლად გაჭიანურდა სერიული ჩარხის მიწოდებათა კოლოფის კონსტრუქციის გადასაკეთებელი სამუშაოები, რომლებიც გეგმით იყო გათვალისწინებული. გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის კომისიამ უშუალოდ მოჰკიდა ხელი ამ საკითხს. კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. ქურდაძემ შეიტანა ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადება, რომლის დანერგვამ მოსპო მიწოდებათა კოლოფის კონსტრუქციის რთული გადაკეთების საჭიროება და შესაძლებლობა მისცა ქარხანას დაეზოგა მნიშვნელოვანი სახსრები.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა „მაღაროელი“ სისტემატურად დიდი რაოდენობით აწვდის 26 კომისრის სახელობის ქარხანას დაწუნებული ფოლადის სხმულს. მარტო 1959 წელს ფოლადის სხმულის საბოლოო წუნისათვის ქარხანას 105,9 ათასი მანეთი გადახდა. გარდა ამისა, 1959 წლის რვა თვეში 26 კომისრის სახელობის ქარხანამ დახარჯა 152,1 ათასი მანეთი იმისათვის, რომ გამოესწორებინა ქარხანა „მაღაროელის“ წუნი.

26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის კომისია (კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბ. ვოლკანი) დაუკავშირდა ქარხანა „მაღაროელის“ პარტორგანიზაციას და სთხოვა მას მიეღო ღონისძიებანი წუნის ლიკვიდაციისათვის. ქარხანა „მაღაროელის“ პარტორგანიზაციის პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის კომისიამ 26 კომისრის სახელობის ქარხანაში გაგზავნა წერილი, რომლითაც იუწყებოდა, რომ მიღებულია ღონისძიებანი ფოლადის სხმულის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დამყარებულია საქმიანი კავშირი მომიჯნავე ქარხნების პარტორგანიზაციების პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის კომისიებს შორის და ეს კავშირი დადებითს შედეგებს გამოიღებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დადებითს გამოცდილებასთან ერთად აღნიშნულია აგრეთვე ნაკლოვანებანი პარტიული კონტროლის ზოგიერთი კომისიის საქმიანობაში. არის საწარმოთა პარტიული ბიუროებისა და ადმინისტრაციების ფუნქციებში ჩარევისა და მათი მაგიერობის გაწევის შემთხვევები. 26 კომისრის სახელობის ქარხანაში სახელმწიფო დაკვეთების შესრულებისადმი კონტროლის კომისიამ თავისი გადაწყვეტილებით წინადადება მისცა ქარხნის დირექტორს საამქროს უფროსი ოსტატი მიეგლინებინა ქ. ქუთაისში ქარხანა „მაღაროელში“.

დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ პარტიული კონტროლის ყველა კომისიას როდი გაუშლია მუშაობა. ეს ეხება, კერძოდ, კიროვის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის მატერიალური რესურსების გამოყენებისადმი კონტროლის კომისიას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა კიროვის სახელობის ქარხნისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის დადებითი გამოცდილება და მისი წინადადებაა, რომ ამ საკითხზე მიღებული დადგენილება გაეცნოს ყველა პარტიულ ორგანიზაციას.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ სისტემატურად შეისწავლონ, განაზოგადონ და გაავრცელონ დადებითი გამოცდილება პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობისა საწარმოებში და გააძლიერონ ოპერატიული ხელმძღვანელობა მათდამი.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს დაევალათ გააშუქონ პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის გამოცდილება, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა მოაწყოს რადიოთი და ტელევიზიით გადაცემა მასალებისა რესპუბლიკის საწარმოებში პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტს წინადადება მიეცა გამოარკვიოს მიზეზები ფოლადის სხმულის წუნის გამოშვებისა ელექტრომექანიკურ ქარხანა „მაღაროელში“ და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ქარხნებისათვის დაწუნებული პროდუქციის მიწოდების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დაევალა მიიღოს ღონისძიებანი 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის საწარმოო სიმძლავრის სრული დატვირთვისათვის, აგრეთვე წლის ბოლომდე გადაწყვიტოს 630-ტონიანი წნეხის რაციონალურად გამოყენებისა და ამუშავების საკითხი.

გავაერთიანოთ ღონისძიებები მშვიდობისათვის ბრძოლაში

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ამერიკის პროფკავშირთა ლიდერებთან 1959 წ. 21 სექტემბერს

1959 წლის 21 სექტემბერს სან-ფრანცისკოში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ამერიკის პროფკავშირული მოძრაობის ხელმძღვანელთა ჯგუფთან. შეხვედრა მოეწყო ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ზოგიერთი მოღვაწის ინიციატივით.

ამერიკის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარემ ჯ. კერიმ (ელექტრო და რადიომრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე), ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარემ უ. რეიტერმა (საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე), ო. ნაიტმა (ნავთობის, ქიმიური და ატომის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე), კ. ფელერმა (ლუდის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თ ა ვ მ ჯ დ ომარე), ე. რიმმა (ფეიქართა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე), ჯ. კარენმა (მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის თავმჯდომარე), პ. ფილიპსმა (ქაღალდის მრეწველობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე), აგრეთვე ჯ. უივერმა (ელექტრიკოსთა პროფკავშირი) და ვ. რეიტერმა (საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირი).

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ საუბრის დროს, რომელიც სამ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ზოგჯერ მწვავე ხასიათს იღებდა, შეეხნენ საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს.

ამერიკის პრესა ამ შეხვედრის შესახებ ბევრ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობას აქვეყნებს.

იმ ცნობების წყარო, თუ რა მოხდა შეხვედრის დროს, იყო პრეს-კონფერენცია, რომელიც ამერიკის პროფკავშირულმა ლიდერებმა გვიან საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვთან გამოთხოვებისთანავე მოიწვიეს. როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი უ. რეიტერი პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა სრულიად ფანტასტიკური მონაჭორით, უხეშად დაამახინჯა საბჭოთა მთავრობის მეთაურის მიერ გამოთქმული აზრები და მიაწერა მას ისეთი რამ, რაც სინამდვილეში არ ყოფილა. რეიტერმა იმდენად ფართო გაქანება მისცა თავის ფანტაზიას, რომ თვით პრეს-კონფერენცია, როგორც სან-ფრანცისკოს გაზეთი „ეკზამინერი“ აღნიშნავს, „ქაოსით დამთავრდა“. შეხვედრის მონაწილეებმა — ფეიქართა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ რიმმა და მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის თავმჯდომარემ კარენმა, გაზეთის სიტყვებით, კორესპონდენტებს განუცხადეს, რომ „რეიტერის განცხადებათა მნიშვნელოვანი ნაწილი იმის შესახებ, თუ რა მოხდა, აბდაუბდის გროვას წარმოადგენს“.

22 სექტემბერს გაზეთ „ნიუიორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა ჩანაწერი, რომელიც თითქოს ასახავდა საუბრის „სრულ ტექსტს“. ამ ჩანაწერის გაცნობისას გამოირკვა, რომ მისი ავტორები იძულებიან არათუ საუბრის ნებისმიერ გადმოცემას, არამედ სულაც ამახინჯებენ მის შინაარსს. როგორც ჩანს, მათ ეშინოდათ მკითხველებისათვის მიეწოდებინათ საბჭოთა მთავრობის მეთაურის მიერ ნამდვილად გამოთქმული აზრები.

ჭეშმარიტების აღდგენის ინტერესებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი აქვეყნებს აღნიშნული საუბრის შინაარსს, რომლის ძირითადი დებულებები დაფარულია საზოგადოებრიობისათვის ანდა დამახინჯებულია ზოგიერთი ამერიკული გაზეთის ტენდენციურ გადმოცემებში.

საუბრის დასაწყისშივე ჯ. კერიმ და უ. რეიტერმა განაცხადეს, რომ ისინი და მათი კოლეგები დიდად დაინტერესებული არიან მწვავე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გულახდილი ურთიერთ გაზიარებით. კერიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი დაინტერესა ახალმა საბჭოთა წინადადებებმა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა. მან თქვა, რომ ამერიკელი მუშები შეფიქრიანებული არიან იმით, რომ შეიარაღებისათვის უდიდესი სახსრები იხარჯება. რეიტერმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ყველაზე გადაუდებელი პრობლემაა ის საკითხი, თუ როგორ შევინარჩუნოთ მშვიდობა. კერიმ და საუბრის სხვა მონაწილეებმა ნ. ს. ხრუშჩოვს სთხოვეს, განიარაღების საკითხზე ახალი საბჭოთა წინადადებების შესახებ მოგვიყვეოთო. მაგრამ ამერიკის პროფკავშირთა ლიდერებმა ფაქტიურად არ დაუცადეს პასუხს და დაიწყეს სხვა შეკითხვების მიცემა, კერძოდ, სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიური დახმარების შესახებ.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას ნ. ს. ხრუშჩოვმა გაახსენა თავის თანამოსაუბრეებს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებები სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ, რომლებიც შეტანილი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და რომლებიც ითვალისწინებენ შეიარაღების შემცირებით მიღებული ეკონომიის გარკვეულ პროცენტ ანარიცხს, შეიძლებოდა დახმარებოდა სუსტად განვითარებულ ქვეყნებს.

„მაგრამ ჩვენ როდი ველოდებით, სანამ მიღწეული იქნება შეთანხმება განიარაღების შესახებ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. — ჩვენ ახლაც დიდ ეკონომიურ დახმარებას ვუწევთ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ერთი მხრივ, ჩვენ ვეხმარებით მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით: ვაწარმოებთ სახსრების გადარიცხვას, ვუწევთ სამედიცინო დახმარებას, სასურსათო დახმარებას. მეორე მხრივ, ჩვენ მათ ვეხმარებით ორმხრივ საფუძველზე. ინდოეთში ჩვენ ვეხმარებით მთავრობას მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური და მანქანათსამშენებლო ქარხნების, სამკურნალო-წამლო საშუალებათა საწარმოების მშენებლობაში. ჩვენ ინდოეთის მთავრობას ვაძლევთ კრედიტებს, საწარმოთა პროექტებს, ინდოელების დასახმარებლად ვგზავნით ჩვენს სპეციალისტებს, მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოებისათვის ვამზადებთ ინჟინრების, ტექნიკოსებისა და კვალიფიციური მუშების კადრებს. ჩვენ დიდ დახმარებას ვუწევთ აგრეთვე არაბეთის ქვეყნებს, აფრიკის ქვეყნებს. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი მეგობრულ დახმარებას უწევს კამბოჯას, ბირმას, ცეილონს, იემენს, ეთიოპიას და სხვა ქვეყნებს“.

რეიტერი სიტყვას აწყვეტინებს ნ. ს. ხრუშჩოვს და ცდილობს ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევისაკენ. ამასთან რეიტერი თავს ნებას აძლევს ბრალი დასდოს საბჭოთა კავშირს იმაში, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარებას იგი თითქოს იყენებს ანგარებითი მიზნით, „ცივი ომის“ მიზნით.

საკადრისი პასუხი გასცა რა ამ გამოხდომას, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „თქვენ თქვენს ისრებს სადაც საჭიროა იქით არ მიმართავთ. საბჭოთა კავშირი არავის არ უწევდა და არ უწევს ექსპლოატაციას. იგი სუსტად განვითარებულ ქვეყნებს დახმარებას უწევს როგორც მეგობარი, მათ არავითარ პოლიტიკურ პირობებს არ უყენებს. მაგალითად, იემენს ჩვენ გავუგზავნეთ ათასობით ტონა მარცვლეული. მაგრამ იქ ხომ სოციალისტური წყობილება არ არის, არამედ სამეფოა. განა ეს ანგარებითი მიზნით დახმარებაა? აბა რა საფიას ვხედავთ ამაში? ჩვენ ამით კაპიტალებს არ ვიძენთ. ჩვენ ისე ვიქცევით, როგორც მეგობრები. ახლა შეხედეთ, რას აკეთებენ იმპერიალისტები. ამერიკის მონოპოლიები ექსპლოატაციას უწევენ სუსტად განვითარებული ქვეყნების სიმდიდრეს და ამით დიდ კაპიტალს იძენენ. ინგლისი, საფრანგეთი და სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც ასე იქცევიან. ნუთუ არ შეუძლიათ ამ ქვეყნებს ამგვარად მიღებული მოგების ხარჯზე გაუფართოონ დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის? ასეთი წინადადება წამოაყენა საბჭოთა მთავრობამ და შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოთა კავშირი ვაჭრობას აწარმოებს ყველა ქვეყანასთან ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე.

რეიტერმა, რომელსაც არ ძალუძდა ნ. ს. ხრუშჩოვის არგუმენტებისათვის რაიმე დაეპირისპირებინა, უცებ წამოიძახა: „თქვენ ექსპლოატაციას უწევთ აღმოსავლეთ გერმანიის ხალხს“. ამ განცხადებამ რეიტერის კოლეგებს შორისაც კი გამოიწვია ღიმილი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„სად დაგესიზმრათ ეს? დაწყნარდით, თქვენ ციებცხელება გჭირთ. ვინ მოგცათ მანდატი გერმანელი ხალხის სახელით გამოხვიდეთ? რატომ ცდილობთ ყოველთვის სხვა ხალხთა მაგივრად ილაპარაკოთ? თქვენ განებივრებული ხართ იმით, რომ ბევრი ქვეყანა შეერთებულ შტატებზეა დამოკიდებული და იძულებულია თქვენ გთხოვოს დახმარება. მაგრამ სოციალისტური ქვეყნები მაგრად დგანან საკუთარ ფეხებზე. ჩვენ თქვენს წინაშე ქუდს არ ვიხდით. საბჭოთა მანეთი თავს არ იხრიდა, არ იხრის დოლარის წინაშე და არც დაიხრის“.

შემდეგ დაიწყო ლაპარაკი განიარაღების პრობლემის შესახებ. რეიტერმა და ზოგიერთმა სხვა პროფკავშირულმა ლიდერმა დაიწყო გამეორება ბურჟუაზიული პრესის მტკიცებისა, რომ თითქოს მთლიანი და საყოველთაო განიარაღების საბჭოთა გეგმა წამოყენებულია მხოლოდ პროპაგანდის მიზნით და თითქოს სსრ კავშირი შეიარაღებაზე იმდენსავე ხარჯავს, რამდენსაც ამერიკის შეერთებული შტატები, — წელიწადში 40 მილიარდ დოლარს.

„ჯერ-ერთი, — უპასუხა ამაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ჩვენ თავდაცვაზე ვხარჯავთ არა 40, არამედ 25 მილიარდ დოლარს, თუ თქვენი ფულით ვიანგარიშებთ. მეორეც, როდესაც ვისმენ თქვენს განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა წინადადებები პროპაგანდაა, მაშინ, მე, როგორც ყოფილ მეშახტეს, მეცოდება, როცა თქვენ გიყურებთ. ამბობენ, რომ თქვენ მუშათა წრეში დიიბადეთ, მაგრამ ლაპარაკობთ, როგორც კაპიტალისტების წარმომადგენელი. როდესაც ჭერსტი ამგვარ რამეს ბეჭდავს, ჩემთვის ეს გასაგებია, მაგრამ, როდესაც ამას იმეორებს ამერიკის პროფკავშირების ერთ-ერთი ლიდერი, მწუხარებით ვფიქრობ, რაოდენად გაუხრწნიხართ მონოპოლისტებს!“.

მაგრამ რეიტერი კვლავ იმეორებდა რეაქციული პროპაგანდის მტკიცებას, რომელიც საბჭოთა წინადადებებს ამახინჯებს. მან, კერძოდ განაცხადა, თითქოს განიარაღების საბჭოთა გეგმა არ ითვალისწინებდეს კონტროლის დაწესებას.

— თქვენ, — ჰკითხა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — რატომ ასე კარგად იცნობთ დალესის არგუმენტაციას და ასე ცუდად იცნობთ საბჭოთა პოზიციას? ჩვენ ყოვლისმომცველი კონტროლის მომხრე ვართ, მაგრამ როგორ უნდა იყოს იგი ორგანიზებული? ამერიკის შეერთებული შტატები გვთავაზობენ ჯერ კონტროლი დავაწესოთ და განიარაღების შესახებ მხოლოდ შემდეგ ვილაპარაკოთ. ისეთ პირობებში, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გარს შემოგვარტყეს თავიანთი საბჭოდრო ბაზები, კონტროლი განუიარაღებლად შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს — სამხედრო დაზვერვას. ჩვენ კი წინადადებას ვიძლევით მოეწყოს

(გაგრძელება მე-2 გვ.).

თათბირი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

გაგანოველთა კატრიოტული მოძრაობის გავრცელების საკითხებზე

25 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი კალინინის ოლქის ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის მუშის, სოციალისტური შრომის გმირის ვალენტინა გაგანოვას კეთილშობილური თაოსნობის გავრცელების საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სამრეწველო საწარმოთა, შრომისმოყვარეთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების მოწინავე მუშებმა, გაგანოვას მიმდევრებმა, პარტიული ორგანიზაციების, ფაბრიკების, ქარხნების ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების, საბრიგადო-ტექნიკური სადგურების დირექტორებმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ამხ. ე. მ. ჯაფარიძემ.

თათბირზე გამოვიდნენ: საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ჩხარტიშვილი, გორის ბამბეულის კომბინატის სართავი საამქროს ბრიგადირი ამხ. ე. გეგელაშვილი, მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. გ. ხოშმერიკი, სოხუმის ტრიკოტაჟისა და გალანტერიის ფაბრიკის მხვეველთა ბრიგადირი ამხ. რ. დერიკოვა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ტაკიძე, ზოათურის მარგანეცის ტრესტის „ახალი ითხვისის“ მაღაროს მბურღავი ამხ. გ. ბაქრაძე, თეთრი წყაროს რაიონის ბორბალო-ვაშლოვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. პ. ბელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. კეშულარია, ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის ბრიგადირი ამხ. ა. ბაკურაძე, ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე ამხ. გ. მოდებაძე, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ამხ. ნ. ნიკოლაიშვილი, ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხნის მაღაროს უფროსი ამხ. ვ. ხარატიშვილი, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის „140“ მილსაგლინავი აგრეგატის ბრიგადის ბრიგადირი ამხ. დ. ძაბანია.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეტავანაძემ.

თათბირის ანგარიში დაიბეჭდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი).

გავაერთიანოთ ღონისძიებები მშვიდობისათვის ბრძოლაში

(გაგრძელება)

კონტროლი ეტაპობით — იმისდა მიხედვით, თუ როგორ იწარმოებს განიარაღება.

— მაგრამ ჩვენ ხომ წინადადებას ვიძლევით თანაბრად მოეწყოს კონტროლი როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის, — თქვა რეიტერმა.

— არა, ეს თანაბარი პირობები როდია, — უპასუხა ნ. ს. ხრუშჩოვმა.—ამერიკის სამხედრო ბაზები ჩვენი საზღვრების ირგვლივ მდებარეობენ, ამერიკის კონტინენტზე კი ჩვენი ბაზები არ არის. როგორ იგრძნობდით თქვენ თავს, რომ საბჭოთა სამხედრო ბაზები მექსიკასა და კანადაში იყოს?

— მერე ხელს ვინ გიშლით, რომ ეს გააკეთოთ? — განაცხადა ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარის ძმამ ვ. რეიტერმა. — მოაწყეთ ასეთი ბაზები.

ამ არსებითად პროვოკაციულმა შენიშვნამ ყველა დამსწრის მძაფრი შეკამათება გამოიწვია.

„თქვენ, — მიმართა ვ. რეიტერს ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მუშათა კლასის წარმომადგენელს, ენა როგორ გიბრუნდებათ ასეთი რამის სათქმელად!“.

უ. რეიტერი უშნოდ შეეცადა ლაპარაკი სხვა თემაზე გადაეტანა, მოიმიზეზა ის, რომ უკვე გვიან არის და „ბატონი პრემიერი დაიღალაო“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ არ შეიძლება საუბარი, როცა რწყილივით ერთი საკითხიდან მეორეზე ხტები. თქვენ გსურთ სერიოზული საუბარი, თუ სხვა რამ? თქვენ ერთი საკითხი მიჩქმალეთ, შემდეგ მეორე, ახლა მესამეზე გადახტით. განიარაღება — ეს საკითხთა საკითხია. ჩვენ გვსურს, რომ სწორად გაიგოთ, და მე დაწერილებით უნდა განგიმარტოთ ჩვენი პოზიცია.

მიუხედავად ამისა, უოლტერ რეიტერი აჩქარდა დაეყენებინა ახალი საკითხები და ამისათვის სიტყვა მისცა რივს. უკანასკნელი აყენებს რამდენიმე საკითხს: კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო საკუთრების როლის შესახებ, დემოკრატიისა და დიქტატურის შესახებ. პრესისა და რადიოსადი კონტროლის, ინფორმაციის გაცვლის შესახებ და სხვ. ამასთან კვლავ მეორდება ჩვეულებრივი მტრული გამოხდომები საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

იმით, თუ როგორ აყენებდა კითხვებს რივი, იგრძნობოდა, რომ მას მეტად ბუნდოვანი და ბევრ შემთხვევაში მცდარი წარმოდგენა აქვს საბჭოთა სინამდვილეზე.

უ. რეიტერი, რომელიც თვალს აღევნებდა თუ როგორ იძლეოდა შეკითხვებს მისი კოლეგა საუბრის წინასწარ მომზადებული კონსპექტის მიხედვით, რომელიც წინ ედო, მოაგონა რივს, რომ იგი უნდა შეეკითხოს კიდევ ერთპარტიული სისტემის შესახებაც. მაგრამ რივმა თავი აარიდა ამას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ რივის მიერ დაყენებული კითხვები ელემენტარულია და საბჭოთა კავშირში მათ პირველი საფეხურის პოლიტწრეებში სწავლობენ.

მაშინ უ. რეიტერმა, რომელსაც აშკარად სურდა გაემწვავებინა საუბარი, წამოაყენა დამატებითი კითხვა: „სახელმწიფო საკუთრების სისტემა აუცილებლად მოითხოვს თუ არა დიქტატურას, რომელიც დემოკრატიას გამორიცხავს?“.

იმ დროს, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი, უპასუხებდა რა რივს, დახასიათებას აძლევდა იმას, თუ რით განსხვავდება სახელმწიფო საკუთრება სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციას ეკუთვნის, სახელმწიფო საკუთრებისაგან კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციას ეკუთვნის (?!). ✱

კითხვაზე, ვის ეკუთვნის ძალაუფლება ისრაელშიო, ბ-ნ რეიტერს მკაფიო პასუხი არ გაუცია.

ნ. ს. ხრუშჩოვმა განმარტა, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივი წყობილების დახასიათების დროს ძირეულ საკითხს წარმოადგენს საკითხი ძალაუფლების შესახებ, — ვის ეკუთვნის ძალაუფლება: მუშათა კლასს, მშრომელებს თუ ექსპლოატატორთა კლასებს. თუ ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, წარმოების საშუალებანი წარმოადგენენ სოციალისტურ, საერთო-სახალხო საკუთრებას. სხვა საქმეა, თუ წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაცია ხორციელდება ისეთ პირობებში, როცა ძალაუფლება კაპიტალისტებს ეკუთვნით. ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ კომუნისტები არიან მუშათა კლასის დიქტატურის მომხრეები, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლება გადავა მშრომელთა ხელში, წარმატებით შეიძლება განხორციელდეს სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები. მუშათა კლასის დიქტატურა არათუ არ გამორიცხავს დემოკრატიას, არამედ ყველა პირობას ქმნის ნამდვილი დემოკრატიის განვითარებისათვის. თვით მუშათა კლასის დიქტატურა დემოკრატიის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

უ. რეიტერმა კვლავ განაცხადა, რომ „ბატონი პრემიერი, როგორც ჩანს, დაიღალა“ და რომ ამიტომ საჭიროა დაჩქარდეს სხვა კითხვების მიცემა. ამაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა ირონიულად უპასუხა: „გეყოფათ კი ძალა, რომ მე გამეჯიბროთ? მე სრულ ფორმაში ვარ! მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლა ვერ დამღლის, სანამ ცოცხალი ვარ. თუ გსურთ მოდით ვაწარმოოთ საქმიანი ლაპარაკი. დრო განუსაზღვრელი გვაქვს“.

მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის თავმჯდომარემ ჯ. კარენმა თქვა, რომ მას სურს, როგორც მან გამოთქვა, მისცეს შეკითხვა ყოველდღიური ცხოვრებიდან. „მე საბჭოთა კავშირში ვყოფილვარ 30-იან წლებში, როცა იქ მიგვქონდა თქვენ მიერ შესყიდული მოწყობილობა. ჩვენ გვახარებს თქვენ მიერ მიღწეული ტექნიკური პროგრესი. მე მაინტერესებს, განვითარდება თუ არა კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემა თქვენს მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის წარმატებებთან ერთად, ექნებათ თუ არა მუშებს გაფიცვის უფლება? როგორ იცავენ პროფკავშირები მშრომელთა ინტერესებს?“

„მე მიგიხვდით, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მე მომწონს, რომ გაქვთ კლასობრივი ალღო პროფკავშირული მუშაობის საკითხებისადმი მიდგომაში. მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, სრულებით ვერ წარმოგიდგენიათ სოციალისტური სახელმწიფოს პირობები, მასში მუშათა კლასის მდგომარეობა და პროფკავშირების როლი. თქვენ ყველაფერს ზომავთ შეერთებული შტატების თქვენთვის ჩვეული საზომით“.

ვ. რეიტერმა რომ დაინახა, კარენი საბჭოთა მთავრობის მეთაურის განმარტებებით დაინტერესდაო, ჩაერია ლაპარაკში და დაიწყო რაღაც ლაპარაკი პიროვნების კულტის შესახებ.

კარენმა მკვახედ გააწყვეტინა სიტყვა: „რათ მაწყვეტინებ!“

ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც კარენს მიმართავდა, განაგრძო:

„მე თქვენი კითხვა მომწონს თავისი პირდაპირობით, მე პირდაპირ გიპასუხებთ მასზე. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში ჩვენში იყო გაფიცვები. მე თვითონ წავსულვარ მუშებთან სალაპარაკოდ გაფიცვების დროს. ახლა ჩვენი მუშები გაფიცვებს აღარ აწყობენ. რატომ? თქვენ თვითონ მონახავთ პასუხს ამ კითხვაზე, თუ ზოგიერთ ფაქტს გაიხსენებთ. რომელ კაპიტალისტურ ქვეყანაში იქნებოდა შესაძლებელი, რომ მთავრობა ამუშავებდეს მუშათა კლასის კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმებს ისე, რომ მუშები მასზე ზეგავლენას არ ახდენდნენ?! კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოდგენაც კი არ შეიძლება, რომ მუშებს ხელფასი გაუდიდდეთ სამუშაო დღის შემცირებასთან ერთად, ისე, რომ მუშები არ აწყობდნენ გაფიცვებს და არ მოითხოვდნენ ამას. ჩვენში, საბჭოთა კავშირში კი ეს ამოცანა წყდება როგორც პირველი რიგის ამოცანა. მთავრობა, მუშები და პროფკავშირები ერთობლივად მოქმედებენ იმისათვის, რომ გადაწყვიტონ საკითხი ხელფასის შემდგომი გადიდებისა სამუშაო დღის შემცირებასთან ერთად. მხოლოდ საჭიროა ამისათვის ეკონომიურ შესაძლებლობათა შექმნა. მე ვარაუდს გამოვთქვამ, მაგრამ ვფიქრობ, მიღებულ რომ იქნას ჩვენი წინადადება სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ, ჩვენ შეგვეძლებოდა დაგვეწყო გადასვლა ექვსი საათის სამუშაო დღეზე და ამასთან ხელფასის გადიდებაზე არა 1964 წელს, როგორც ეს გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით, არამედ გაცილებით ადრე. საბჭოთა მუშები ყოველთვის არიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კურსში და მათ კარგად იციან, არის თუ არა მოცემულ მომენტში ხელფასის შემდგომი გადიდების პრაქტიკული შესაძლებლობა“.

კარენი მადლობას უხდის პასუხისათვის.

უ. რეიტერი კვლავ ცდილობს გაამწვავოს საუბარი, აცხადებს რა, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში „პროფკავშირები სახელმწიფოს დანამატია“, და მოითხოვს განმარტებას, რატომ არ გამოდიან სსრ კავშირში პროფკავშირები პარტიის წინააღმდეგ. ზოგიერთი პროფკავშირული ლიდერი სიტყვას ითხოვს, მაგრამ რეიტერი თათ ყურს არ უგდებს და ცდილობს ყველას მაგივრად ილაპარაკოს.

„თქვენ ბულბულივით იქცევით, — ღიმილით ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — ბულბული როცა მღერის, თვალებს ხუჭავს, ვერაფერს ვერ ხედავს და თავის თავს გარდა, სხვისა არაფერი ესმის“. დამსწრეებმა ხმამაღლა გადაიხარხარეს, და ბ-ნი რეიტერი გაწითლდა. მაგრამ იგი კვლავ თავისას გაიძახოდა, ცდილობდა თავისი თავი საბჭოთა მუშების დამცველის როლში დაესახა.

„რასა ჰყოფთ ცხვირს სხვის გეგმებში, — ეკითხება ნ. ს. ხრუშჩოვი. — საბჭოთა მუშები თვითონ წყვეტენ თავიანთ საქმეებს და არა. სჭირდებათ გარედან ჩარევა. სანამ თქვენ არ დაანებებთ თავს სხვებისათვის ჭკუის სწავლების ცდას, არავითარი ლაპარაკი არ გამოგვივა“:

— არის ისეთი ცნება, როგორიც მუშათა საერთაშორისო სოლიდარობაა, — მაღალფარდოვნად აცხადებს უ. რეიტერი.

— და თქვენ ბედავთ ლაპარაკს საერთაშორისო ს ო ლ ი დ ა რ ობის შესახებ, იმის შემდეგ რაც გათიშეთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, დაუპირდაპირეთ რა თქვენი პროფკავშირები მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნების პროფკავშირებს, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი.

რეიტერი პასუხს არ აძლევს. როგორც ყოველთვის, როცა მას სათქმელი არა აქვს რა, იგი იჩქარის გადავიდეს ახალ კითხვაზე და სიტყვას აძლევს ნაიტს.

ნაიტი აყენებს ორ კითხვას. მოურიდებელი ფორმით აყენებს იგი კითხვას ეგრეთწოდებული „გერმანიაში თავისუფალი არჩევნების“ ჩატარების შესახებ. ეს პროფკავშირული მოღვაწე ამნაირადვე ლაპარაკობს ეგრეთწოდებულ „უნგრეთის საკითხზეც“.

„თქვენ იცით რამე გერმანიის დემოკრატიულ რ ე ს პ უ ბ ლიკაზე, ყოფილხართ იქ? — ეკითხება ნ. ს. ხრუშჩოვი. — მე კი იქ არაერთხელ ვყოფილვარ და შემიძლია გითხრათ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნილია ყველაზე დემოკრატიულ საფუძველზე. ყველა საკითხს იქ წყვეტს დემოკრატიულად არჩეული მთავრობა. იქ მოსპობილია წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და ძალაუფლება მშრომელებს ეკუთვნის. მუშათა კლასს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სათავეში უდგას მისი ინტერესების ერთგული პარტია — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია. იქ არსებობენ სხვა დემოკრატიული პარტიებიც. რაც შეეხება არჩევნებს გერმანიაში, ეს, როგორც უკვე არაერთხელ ვთქვი, თვით გერმანელების საშინაო საქმეა. როგორც ისინი შეთანხმდებიან ერთმანეთთან, დაე ისე იმოქმედონ. არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მათს საშინაო საქმეებში“.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა მტკიცედ გაილაშქრა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ კვლავ ამოეთრიათ ზედაპირზე ე გ რ ე თ წ ო დებული „უნგრეთის საკითხი“.

ამ საკითხის განხილვის დროს ბ-ნმა რეიტერმა უნებლიეთ გამოამჟღავნა ჯანსაღი ფრენელი უვიცობა. მან დაიწყო „დაცვა“ ამხანაგ იანოშ კადარისა როგორც... ბურჟუაზიული ნაციონალისტისა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისმა კოლეგებმა ხმამაღლა გაიცინეს და უთხრეს, იმრე ნადზე უნდა ილაპარაკო, რეიტერმა უშნოდ დაიწყო ნათქვამის გამოსწორება.

გამოამჟღავნა რა უნგრელი ხალხის ამ „დამცველის“ თვალთმაქცური პოზიცია, ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, თავისი კანონები, ჰყავს თავისი კანონიერი მთავრობა, რომლის არჩევა ხდება დემოკრატიული გზით. იგი თავისუფლად ვითარდება და აქვს დიდი წარმატებები სოციალისტურ მშენებლობაში. რა მოხდა უნგრეთში 1956 წელს? იქ იყო მშრომელთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ანტიხალხური ელემენტების ამბოხება. უნგრეთის კონტრრევოლუცია, რომელსაც აქეზებდნენ საერთაშორისო რეაქციის ძალები, შეეცადა დაეხო სოციალისტური წყობილება. ამასთან შეთქმულებმა გამოიყენეს დასავლეთიდან მიღებული იარაღი, ისინი ხელმძღვანელობდნენ დირექტივებით, რომლებიც იქიდანვე მოდიოდა. ხელთ იგდეს რა რამდენიმე დღით ძალაუფლება ბუდაპეშტში, კონტრრევოლუციონერებმა დაიწყეს უწესობა, პატიოსანი ადამიანების განადგურება, დახვრეტა. ამ ძნელ მომენტში უნგრეთის მთავრობამ, რომელსაც იანოშ კადარი ედგა სათავეში, დახმარება გვთხოვა. ჩვენ შევასრულეთ ეს თხოვნა, და ჩვენ ვამაყობთ ამით. ჩვენ რომ არ დავხმარებოდით სახალხო მთავრობას, რომელსაც სათავეში იანოშ კადარი უდგას, ფაშისტებს შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება უნგრეთში. გაეუწიეთ რა ძმური დახმარება უნგრელ ხალხს მის ბრძოლაში ფაშისტი შეამბოხეების წინააღმდეგ, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ინტერნაციონალური ვალი“.

ფილიპსი წინადადებას იძლევა ახალ თემაზე გადავიდეთო, და იმეორებს პრეტენზიებს, რომლებიც უკვე არაერთხელ წამოუყენებიათ შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრებში ბურჟუაზიულ მოღვაწეებს, საბჭოთა კავშირში რეაქციული ლიტერატურისა და ანტისაბჭოთა ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესახებ.

— ყველაზე უფრო რომელი კერძი გიყვართ? — ეკითხება ნ. ს. ხრუშჩოვი ფილიპსს.

— როსტბიფი, — უპასუხებს იგი.

— მე კი ბორშჩი, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — თქვენ მას არა სჭამთ, მე კი იგი ძალიან მომწონს. თქვენ ემხრობით კაპიტალიზმს, მე კი სოციალიზმს. რატომ არ გაძლევთ უფრო დაწვრილებითს პასუხს თქვენს კითხვაზე? იმიტომ რომ უკვე ბევრჯერ მომცეს იგი აქ და მე ყოველთვის ვუპასუხებდი. როგორც ჩანს, თქვენ არ მოგწონთ ჩემი პასუხი და გინდათ მოისმინოთ რაღაც სხვა. მაგრამ რას იზამ, ჩვენ და თქვენ სხვადასხვანაირად გვესმის თავისუფლება. როცა ჩვენ ჰოლივუდში ვიყავით, გვიჩვენეს ცეკვა „კან-კანი“. ამ ცეკვაში ქალიშვილებს უხდებათ კაბის აწევა და უკანა ადგილის ჩვენება, და ამ ცეკვის შესრულება უხდებათ, კარგ, პატიოსან მსახიობებს. მათ აიძულებენ შეეგუონ გარყვნილი ადამიანების გემოვნებას. თქვენში ამას ცქერას დაუწყებენ, საბჭოთა ადამიანები კი ამ სანახაობას ზურგს შეაქცევენ. ეს პორნოგრაფიაა. ეს არის გამტყვარალი და გარყვნილი ადამიანების კულტურა. ასეთი ფილმების ჩვენებას თქვენში თავისუფლებას ეძახიან. ჩვენ ასეთი „თავისუფლება“ არ გამოგვადგება. თქვენ, როგორც ჩანს, მოგწონთ უკანა ადგილის ყურების „თავისუფლება“. ჩვენ კი გვირჩევნია ფიქრის, აზროვნების თავისუფლება. შემოქ...ედებითი განვითარების თავისუფლება.

— თქვენ გინდათ, რომ კანონით აკრძალული იყოს ასეთი ფილმების ჩვენება? — ეკითხება ფილიპსი.

— ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ასეთი კანონი, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი, — მორალის კანონი.

— მე მინდა ვიცლი, მინდა არ ვიცლი ასეთ ფილმებზე, — ამბობს კერი.

— მაგრამ თქვენი შვილები ხომ უყურებენ ასეთ რამეებს!

— მე შვილები არა მყავს.

— მაგრამ სხვების ხომ ჰყავთ შვილები. კარგი შვილები, რომლებიც დედამიწაზე ცხოვრობენ, — შენიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, — და თქვენა და ჩვენ უნდა დავიცვათ ისინი ცუდი გავლენისაგან, რომელსაც ავრცელებენ „თავისუფალი კულტურული გაცვლის“ სახით.

შემდეგ ზოგიერთმა პროფკავშირულმა მოღვაწემ დაიწყო მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირი რატომღაც უხალისოდ ეკიდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის კულტურული ურთიერთობის განვითარებას. ნ. ს. ხრუშჩოვმა საკადრისი პასუხი გასცა ამ ცრუ მტკიცებას. მან ხაზი გაუსვა, რომ სინამდვილეში მიზეზი ამერიკის მხარეა, და შესთავაზა მოესმინათ ცნობა ამ საკითხზე კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. ა. ჟუკოვისა, რომელიც საუბარს ესწრებოდა. მაგრამ ამერიკის პროფკავშირების ლიდერებმა თავი აარიდეს ამას.

„ჩვენ, — განაცხადა ერთ-ერთ მათგანმა, — ამის შესახებ გაზეთებში წავიკითხავთ“.

შეეხო რა ინფორმაციის გაცვლის საკითხს ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები ემხრობიან მართალი ინფორმაციის გაცვლას, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას და ხალხთა დაახლოებას. „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა პ. ა. სატიუკოვმა, რომელიც საუბარს ესწრებოდა, მოაგონა დამსწრეთ, რომ „პრავდამ“ მთლიანად გამოაქვეყნა გამოსვლები ამერიკის პროფკავშირთა მიერ უმუშევრობის საკითხის შესახებ ვაშინგტონში მოწვეულ კონფერენციაზე, ისე რომ მათში ერთი სიტყვაც არ შეუცვლია, ხოლო ამერიკულმა გაზეთებმა ეს მასალები რატომღაც არ გამოაქვეყნეს. განაცხადეს, ეს „წითელი პროპაგანდაა“.

„ინფორმაციის გაცვლის საკითხში, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა საკითხებში, ჩვენა და თქვენ ერთი აზრისა არა ვართ, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვნახოთ საერთო ენა იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ხალხებს აინტერესებს. ჩვენ გეუბნებით: აიწიეთ მაღლა, შეეცადეთ უფრო ფართოდ შეხედოთ მოვლენებს. ნუ უყურებთ ყველაფერს თქვენი სამრეკლოდან. ჩამოდით ჩვენთან, შეხედეთ, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ საბჭოთა მუშები, როგორ ეწევიან თავიანთ მუშაობას პროფკავშირები ჩვენს ქვეყანაში, როგორ იცავენ ისინი მუშების ინტერესებს. ძოვლენებისადმი ჩვენა და თქვენ სხვადასხვა მიდგომა გვაქვს; ჩვენ მივდივართ ჩვენი გზით კომუნიზმისაკენ, თქვენ კი გსურთ განამტკიცოთ კაპიტალიზმი. ამრიგად, ჩვენ სხვადასხვა პოზიციებზე ვდგავართ. მოდით ვაღიაროთ ეს უდავო ფაქტი. მაგრამ არ შეიძლება ვცადოთ გამოვნახოთ ნიადაგი საქმიანი თანამშრომლობისათვის? ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეიძლება. ასეთი თანამშრომლობა ესაჭიროება მთელ მუშათა კლასს მისი ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ჩვენ თქვენთან სასაუბროდ მოვედით იმიტომ კი არა, რომ გავაგრძელოთ ურთიერთობა, იგი ისეც ცუდია, — შენიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი. — თუ ჩვენ წავუყენებთ ერთმანეთს ბრალდებებს, ეს არაფერს არ მისცემს მუშათა კლასს. ვიყოთ გონიერნი, ნუ შევეხებით ყველა საკითხს, რომლებიც ჩვენ გვთიშავენ. მოდით გავაერთიანოთ ჩვენი ძალღონე მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

მაგრამ კ. ფერერი აყენებს კიდევ ერთ კითხვას, რომელიც გამსჭვალულია ცივი ომის სულისკვეთებით. კითხულობს რა ქაღალდში, იგი იმეორებს მტრული პროპაგანდის მონაჭორს, რომ სოციალისტურ ქვეყნებში მუშები თითქოს ჩაგვრას განიცდიან და იძულებული არიან საზღვარგარეთ გაიქცნენ.

გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, რომელიც საუბარს ესწრება, აღნიშნავს, რომ ფერერი სიტყვასიტყვით იმეორებს იმას, რაც დაწერილია გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ დღევანდელ ნომერში.

„დაუფიქრდით იმას, რას აკეთებთ, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, —თქვენ დღეს აქ დაიწყეთ ბურჟუაზიული პრესის სტატიების გამეორება. მე კი უნდა პასუხი გაგცეთ?! დაიწყეთ პროლეტარული პრესის კითხვა. მაშინ უფრო მალე გაერკვევით ამაში“.

ნ. ს. ხრუშჩოვი ამჩნევს, რომ უივერი, ზანგი, რომელიც საუბარს ესწრება, რამდენჯერმე ცდილობს შეკითხვის მიცემას, მაგრამ რეიტერი რატომღაც დაჟინებით ვერ ამჩნევს მას.

„თქვენ დემოკრატიულად არ მიგყავთ საუბარი, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. — მიეცით შავკანიანს შესაძლებლობა თქვას. ეს ხომ სამარცხვინოა. თქვენში დღემდე არის ისეთი ადგილები, სადაც ზანგს არ შეუძლია შევიდეს!“

უივერი ამბობს, რომ პროფკავშირები ამერიკის შეერთებულ შტატებში იბრძვიან რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და რომ მას პროფკავშირებმა პატივი დასდეს ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა მოძრაობის წარმომადგენელი ზოგიერთ საერთაშორისო კონფერენციაზე. ორი კვირის წინათ იგი იყო ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობის ასოციაციის მსოფლიო ფედერაციის კონფერენციაზე.

ამ კონფერენციაზე, ქმაყოფილებით აღნიშნავს უივერი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის დელეგაციები მეგობრულად თანამშრომლობდნენ. მათ გამოიშუშავეს ერთობლივი რეზოლუცია, რომელიც მიმართული იყო „ცივი ომის“ შეწყვეტისაკენ და რომელიც მიღებულ იქნა. ამასთან ერთად უივერი აღნიშნავს, რომ ბევრ საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია და სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები სხვადასხვა პოზიციებზე დარჩნენ და რომ მათ შორის ხდებოდა მწვავე შეტაკებები.

იგი ეკითხება ნ. ს. ხრუშჩოვს, რით უნდა დავიწყოთ, როგორ გამოვნახოთ ნიადაგი თანამშრომლობისათვისო. „ჩვენი ხალხისათვის, — ამბობს უივერი, —დიდი მნიშვნელობა აქვს მიიღოს პასუხი კითხვებზე, რომლებიც დღეს დაყენებულია საუბარში“.

„მე ვიცი, რომ თქვენი პროფკავშირები ბევრს აკეთებენ იმისათვის, რომ ზანგები ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი მოქალაქეები გახდნენ, — უპასუხებს ნ. ს. ხრუშჩოვი. — რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებზეც თქვენს პროფკავშირებს არა აქვთ ერთიანი თვალსაზრისი სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირებთან, თქვენ იცით, რომ ჩვენ და თქვენ სხვადასხვანაირად ვუდგებით საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ მოვლენას და სხვადასხვანაირ შეფასებას ვაძლევთ ამ მოვლენებს.

ჩვენი აზრით, პროფკავშირები უფრო ხშირად უნდა ამყარებდნენ კონტაქტებს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთბაშად როდი გადაწყდება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება განვითარება და განმტკიცება პროფკავშირებს შორის თანამშრომლობისა ცალკეულ, პირველ ხანებში თუნდაც პატარა საკითხებზე, საბოლოო ანგარიშით ორივე ქვეყანა მივა ღონისძიებათა გაერთიანებამდე. თქვენ ერთბაშად ვერ გაიგებთ ჩვენი პროფკავშირების პოზიციას ისევე, როგორც ჩვენი პროფკავშირული მუშაკები ერთბაშად ვერ გაიგებენ ყველაფერს, რაც თქვენშია. ამიტომ ჩვენცა და თქვენც უფრო ახლოს უნდა დავაკვირდეთ ერთმანეთს, ჩავწვდეთ ერთმანეთის საქმიანობას, უკეთ გავიგოთ ერთმანეთის საქმიანობა. ჩვენ შეგვიძლია ვიდავოთ, შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ერთმანეთს. მაგრამ თუ თქვენ და ჩვენ გვსურს მშვიდობის განმტკიცება, მუშების, მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება, რისთვის გვჭირდება ურთიერთობის გამწვავება? ამით ხომ მხოლოდ ჩვენი საერთო მოწინააღმდეგეები მოიგებენ.

თქვენ გსურთ ჩვენი სოციალისტური წყობის მეცვლა? იმედი მაქვს, რომ არა! ჩვენც არ გვინდა და არ ჩავერევით თქვენს საშინაო საქმეებში, არ შევეცდებით შევცვალოთ თქვენში არსებული წყობილება. ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ: მოდით გამოვიჩინოთ შემწყნარებლობა ურთიერთისადმი დამოკიდებულებაში. თუმცა ბევრ საკითხში ჩვენ და თქვენ სხვადასხვა აზრისა ვართ, მაგრამ ჩვენ გვაქვს საერთო საქმე, რომლის გულისთვისაც უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი. ეს არის ბრძოლა მშვიდობისათვის. ხალხებს სურთ მშვიდობა, იბრძვიან მისთვის.

რაც შეეხება პროფკავშირული მოძრაობის კონკრეტულ საკითხებს, მე, სწორე მოგახსენოთ, არასოდეს არ მიმუშავნია ამ ასპარეზზე და სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ჩვენ გვყავს პროფკავშირულ მოღვაწეთა გამოცდილი კადრები. რატომ არ უნდა დაამყაროთ კონტაქტი მათთან? ისინი არ ეცდებიან კომუნისტებად გაგხადონ, ვფიქრობ, ვერც თქვენ გახდით მათ კაპიტალიზმის მომხრეებად. მაგრამ თქვენსა და მათ შორის აზრთა გაცვლა უდავოდ სასარგებლო იქნებოდა“.

ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. კერიმ, რომელიც საუბრის დასასრულს გამოვიდა, მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს ამ შეხვედრისათვის.

„მადლობას მოგახსენებთ, —განაცხადა მან, — იმისათვის, რომ ასე უხვად დაგვითმეთ დრო. გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას. მოდით ვითანამშრომლოთ მშვიდობის საკეთილდღეოდ, ადამიანის საკეთილდღეოდ“.

შეხვედრა მეგობრულ ვითარებაში დამთავრდა. გამოთხოვებისას პროფკავშირულმა ლიდერებმა კვლავ და კვლავ გადაუხადეს მადლობა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამ შეხვედრისათვის.

* * *

ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლებოდა გაკვირვება არ გამოეწვია იმ ფაქტს, რომ შეხვედრის დამთავრებისთანავე მოე წ ყ ო პრეს-კონფერენცია, რომელზეც ბ-ნმა რეიტერმა თავს ნება მისცა უხეშად დაემახინჯებინა საუბრის არსი და მიემართა გამოხდომებისათვის იმის წინააღმდეგ, ვისაც იგი ის-ის იყო თავის კოლეგებთან ერთად იღებდა როგორც სპატიმსტუმარს. ბ-ნი რეიტერი იქამდე მივიდა, რომ განაცხადა, თითქოს ნ. ს. ხრუშჩოვმა საუბრის დროს „მუშტი დაჰკრა მაგიდას და დაიძახა: „მე მუშათა კლასის დიქტატორი ვარ“.

ამგვარი ცილისმწამებლური მონაჭორი აშკარად ნავარაუდევია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ საბჭოთა კავშირზე და მის ხელმძღვანელებზე. შემთხვევითი როდია, რომ ბევრმა ბურჟუაზიულმა კორესპონდენტმა მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვს კითხვით, როგორია მისი დამოკიდებულება ბ-ნ რეიტერის ესოდენ წარმოუდგენელი განცხადებისადმი საუბრის შესახებ.

„არ ვიცი, — თქვა ეს ბ-ნმა რეიტერმა, თუ მას არაკეთილსინდისიერმა ჟურნალისტებმა მიაწერეს, — უპასუხა ნ. ს. ხრუშჩოვმა. —ნუთუ მან ასე თქვა?“.

პრეს-კონფერენციაზე დამსწრე ჟურნალისტებმა დაადასტურეს, რომ ბ-ნმა რეიტერმა გააკეთა აღნიშნული განცხადება. მაშინ ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

„თუ ბ-ნმა რეიტერმა ასე განაცხადა, იგი უპატიოსნოდ მოქცეულა. ეს სიცრუეა. მე არ შეიძლია პატივს ვცემდე ადამიანს, რომელიც ასეთ ხერხებს მიმართავს. ჩვენს საუბარში ლაპარაკი იყო მუშათა კლასის დიქტატურაზე. და არა პირად დიქტატურაზე. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ როცა ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში გადადის, მისფვის საჭიროა დაამყაროს თავისი დიქტატურა, რათა დათრგუნოს დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობა. მუშათა კლასის დიქტატურის ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. თუ დამხობილი კლასი წინააღმდეგობას არ უწევს იმ ახალს, რაც საზოგადოების ისტორიული განვითარების მსვლელობაში რევოლუციის შედეგად იშვა, მუშათა კლასისათვის საჭირო არ არის გამოიყენოს ძალდატანებითი დათრგუნვის საშუალებანი. და, პირიქით, როცა ექსპლოატატორები ცდილობენ უკიდმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, არ დაუშვან, რომ ხ

გავაერთიანოთ ღონისძიებები მშვიდობისათვის ბრძოლაში

(დასასრული)

თა განწყობილება, იმარჯვებს ამერიკელი ხალხის მზარდი მისწრაფება ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ, მშვიდობის საქმის განმტკიცებისაკენ.

როგორც ცნობილია, დღემდე ამერიკის პროფკავშირთა ხელმძღვანელობა ჯიუტად ამბობდა უარს საბჭოთა კავშირთან ყოველგვარ კონტაქტებზე. ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პრეზიდენტის მინის ბევრი სიტყვა არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა ამერიკის იმპერიალიზმის რეაქციულად განწყობილი ლიდერების გამოსვლებისაგან. ჯერ კიდევ 1959 წლის 21 სექტემბერს მინი სან-ფრანცისკოში პროფკავშირულ ყრილობაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა მთავრობაზე უხეში თავდასხმებით, რომლებიც „ცივი ომის“ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. მინის და მის თანამზრახველთა ასეთი პოზიცია ჟღერს როგორც დისონანსი რიგითი ამერიკელების განწყობილებისა, რომლებ ს ა ც სურთ განამტკიცონ მშვიდობა და დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ჩანს, სწორედ ამიტომ მიიჩნია საჭიროდ ამერიკის შრომის ფედერაციის — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერების ჯგუფმა მიეწვია საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვედრაზე საერთაშორისო ცხოვრებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე საუბრისათვის.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს შეხვედრა კარგი დასაწყისი იქნება, იგი ხელს შეუწყობს გზის გაკაფვას ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს შორის საჭირო კონტაქტების დასამყარებლად.

ეს კონტაქტები საჭიროა და ისინი შეიძლება ფრიად ნაყოფიერი იყოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საერთო საქმისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება იმათ, ვინც ჯიუტად იცავს თავის პოზიციას და ცდილობს რჩებოდეს „ცივი ომის“ აღალში, ამით ისინი მხოლოდ ამხილებენ თავიანთ თავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში.

მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ერთიანობას მშვიდობისათვის ბრძოლაში. „თუმცა ბევრ საკითხში ჩვენ და თქვენ სხვადასხვა აზრისა ვართ— თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკის პროფკავშირთა ლიდერებთან ხუთუბარში, — ჩვენ გვაქვს საერთო საქმე, რომლის გულისთვისაც უნდა გავაერთიანოთ ღონისძიებანი, — ეს არის ბრძოლა მშვიდობისათვის“.

არ შეიძლება სინანულს არ იწვევდეს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული პროფკავშირული ლიდერების ცდები გამოიწვიონ გამწვავება იმ დროს, როცა ისახება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება.

როგორც არ უნდა ცდილობდნენ ამერიკის პროფკავშირთა რეაქციულად განწყობილი ლიდერები დამალონ ერთიანობისაკენ მოწოდება საბჭოთა მთავრობის მეთაურისა, დაამახინჯონ მის მიერ გამოთქმული აზრები,— სიმართლე თავისას გაიტანს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურს დიდი გულთბილობით ხვდებიან ამერიკელები ყველგან, სადაც კი იგი გაივლის ხოლმე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს. ამ გულთბილ შეხვედრებში ჭეშმარიტ გამოხატულებას პოულობს ამერიკელი ხალხის მისწრაფება საბჭოთა ხალხთან მშვიდობისა და მეგობრობისაკენ.

მთელი მსოფლიოს პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში

დე-მოინი, 23 სექტემბერი. (**საკდესის სპეც. კორ.**). გუშინ საღამოს ქალაქ დე-მოინის მერმა ჩარლზ აილსმა და ქალაქ დე-მოინის სავაჭრო პალატის წევრებმა სადილი გამართეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი მეუღლე ნ. პ. ხრუშჩოვა, ნ. ს. ხრუშჩოვის ოჯახის წევრები და მისი თანმხლები პირები.

სასტუმრო „ფორტ დე-მოინის“ დიდ დარბაზში შეიკრება 600-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი დემოკრატიული პარტიისაგან ე. სტივენსონი, აიოვას შტატის გუბერნატორი ჯ. ლოვლესი, სენატორი აიოვას შტატისაგან ტ. მარტინი და სხვები.

დე-მოინის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფრენკ დე პიუიე რუსულ ენაზე მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს. მან ისინი გააცნო შეკრებილთ, რომლებიც მჭეხარე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა აიოვას შტატის გუბერნატორმა ჯ. ლოვლესმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აიოვას შტატმა გზა გაუკაფა კონტაქტების განვითარებას საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა შორის. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაცია იყო აიოვას შტატში, ამერიკის ამ დარგის სპეციალისტთა დელეგაცია კი ეწვია საბჭოთა კავშირს. ლოვლესი მიესალმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეჯიბრების იდეას.

ქალაქ დე-მოინის მერმა ჩ. აილსმა აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი მოითხოვს ეკონომიურ შეჯიბრებას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, და წინადადება წამოაყენა მოეწყოს შეჯიბრება ამერიკის ქალაქ დე-მოინსა და საბჭოთა ქალაქ კრასნოდარს შორის, განხორციელდეს დელეგაციების გაცვლა ამ ქალაქებს შორის და ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

თავის სიტყვაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა გ. ლოჯმა, რომელიც ახლავს ნ. ს. ხრუშჩოვს შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში და დ. ეიზენჰაუერის მომავალ გამგზავრებას საბჭოთა კავშირში. მან თქვა, ხრუშჩოვს რომ ხვდებიან, ამერიკელები ცდილობენ გამოიჩინონ სტუმართმოყვარეობის საუკეთესო გრძნობები.

სადილზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

პიტსბურგი, 23 სექტემბერი. (**საკდესის სპეც. კორ.**). 23 სექტემბერს 23 საათსა და 2 წუთზე ადგილობრივი დროით (24 სექტემბერს 6 საათსა და 2 წუთზე მოსკოვის დროით) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სამრეწველო ცენტრში — ქალაქ პიტსბურგში.

აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ქალაქ პიტსბურგის მერი ტომას გალაჰერი და სხვა ოფიციალური პირები. მიესალმა რა ნ. ს. ხრუშჩოვს, მერმა მას გადასცა ქალაქის გასაღები.

„ბ-ნო თავმჯდომარე, — განაცხადა გალაჰერმა, — მე როგორც პიტსბურგის მერი მოხარული ვარ მოგესალმოთ თქვენ, ჭ-ნ ხრუშჩოვს, თქვენი ოჯახის წევრებსა და თქვენს თანმხლებ წარჩინებულ პირებს ჩვენს ქალაქში და ჩვენს წრეში.

ხვალ საზეიმო საუზმეზე, რომელიც გაიმართება პიტსბურგის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში, იყო დაახლოებით 500 სტუმარი — პიტსბურგის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

პიტსბურგის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ლიტჩფილდმა გააცნო დამსწრეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები. გოსმა ძლიერი ტაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში. **სურათებზე:** ზემოთ — სან-ფრანცისკოს მცხოვრებნი ელოდებიან ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლას. ქვემოთ — ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა სან-ფრანცისკოში.

ფოტო საკდესის სპეციალური ფოტო კორესპონდენტის ვ. ეგოროვისა.

ლონდონი, 23 სექტემბერი. (**საკდესის სპეც. კორ.**). გუშინ ქალაქ დე-მოინის მერმა ჩარლზ აილსმა და ქალაქ დე-მოინის სავაჭრო პალატის წევრებმა სადილი გამართეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი მეუღლე ნ. პ. ხრუშჩოვა, ნ. ს. ხრუშჩოვის ოჯახის წევრები და მისი თანმხლები პირები.

სასტუმრო „ფორტ დე-მოინის“ დიდ დარბაზში შეიკრება 600-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი დემოკრატიული პარტიისაგან ე. სტივენსონი, აიოვას შტატის გუბერნატორი ჯ. ლოვლესი, სენატორი აიოვას შტატისაგან ტ. მარტინი და სხვები.

დე-მოინის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფრენკ დე პიუიე რუსულ ენაზე მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს. მან ისინი გააცნო შეკრებილთ, რომლებიც მჭეხარე ტაშით შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა აიოვას შტატის გუბერნატორმა ჯ. ლოვლესმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აიოვას შტატმა გზა გაუკაფა კონტაქტების განვითარებას საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა შორის. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაცია იყო აიოვას შტატში, ამერიკის ამ დარგის სპეციალისტთა დელეგაცია კი ეწვია საბჭოთა კავშირს. ლოვლესი მიესალმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეჯიბრების იდეას.

ქალაქ დე-მოინის მერმა ჩ. აილსმა აღნიშნა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი მოითხოვს ეკონომიურ შეჯიბრებას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, და წინადადება წამოაყენა მოეწყოს შეჯიბრება ამერიკის ქალაქ დე-მოინსა და საბჭოთა ქალაქ კრასნოდარს შორის, განხორციელდეს დელეგაციების გაცვლა ამ

ბონი, 23 სექტემბერი. (**საკდესის სპეც. კორ.**). ბონში ცნობილია, რომ ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დელის ოფიციალური წრეები დადებითად ეკიდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შეეხო რა განიარაღების საბჭოთა წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, ამ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯერჯერობით ისინი არ შეუსწავლია დაწერილებით. მაგრამ, თქვა მან, კარგი იქნებოდა, რომ ყველა ქვეყანას მიეღო საბჭოთა წინადადებანი.

ალმოვფხვრათ ომის საშიშროება!—

ასეთია ყველა ხალხის ერთიანი მიზანი

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი—მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

★ ★ ★

ეს უცხოეთის პრესის მთავარი თემაა

უცხოეთის პრესა კვლავ უდიდეს ყურადღებას უთმობს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაზეთები გაცხოველებით უკეთებენ კომენტარს აგრეთვე საბჭოთა წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის განსახილველად.

ამერიკის პრესა მთელ გვერდებს უთმობს ფოტოსურათებსა და დეპეშებს, რომლებშიც აღწერილია საპატიო საბჭოთა სტუმრის მოგზაურობა შეერთებულ შტატებში. უმგალითოდ ბევრი გაზეთი აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვების სრულ ტექსტებს.

ბევრი გაზეთის სარედაქციო სტატიების ტონი ცხადყოფს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელებზე. გაზეთი „პოსტ-დისპეტჩი“ მთავარ მოწინავე სტატიაში აცხადებს, რომ „თავისი მისიის შესრულების დროს ნიკიტა ხრუშჩოვმა, ეჭვი არ არის, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა... მისი სახე ღრმად აღიბეჭდა ამერიკელთა სკეპტიკურ გონებაში: უწინარეს ყოვლისა ბატონმა ხრუშჩოვმა შეძლო, შთაენერგა ღრმა რწმენა, რომ იგი და მისი მთავრობა სერიოზულად უდგებიან საქმეს, როცა ლაპარაკობენ ცივი ომით გამოწვეული დავის მოწესრიგებისა და ომის შესახებ, რომ საჭიროა მტკიცედ ეიარაოთ მშვიდობისა და განიარაღების გზით“. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, განაგრძობს „პოსტ-დისპეტჩი“, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები ასევე უფოყმანოდ დათანხმდნენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობა გადაიყვანონ ახალ რელსებზე. „ჯერ ერთი, — წერს „პოსტ-დისპეტჩი“ — ხრუშჩოვმა შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელებზე თავისი გამოსელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიარაღების საკითხზე, რადგან ეს სიტყვა იმდენად გაბედული და ამომწურავი იყო, რომ ყველა მოხიბლა. წინადადება ყველა სამხედრო დაწესებულებისა და ომის საშუალებათა უთუოდ მოსპობის შესახებ მოითხოვს დაუყოვნებლივ გამხმაურებას. და მაინც, თუ ადამიანებს მხედველობაში აქვთ ის, რასაც ისინი ახლა ლაპარაკობენ ატომური მიზანი არის ომებებზე, საბოლოო მიზანი არის ტოტალური განიარაღება, და, როცა ეს თქვა ესოდენ არაორაზროვნად, ბატონმა ხრუშჩოვმა გამოხატა ყველა ქვეყნის ხალხთა უღრმესი მისწრაფება“, მეორე, განაგრძობს „პოსტ-დისპეტჩი“, ნ. ს. ხრუშჩოვმა შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელებზე იმით, რომ „მან ასე ცხოველად დაარწმუნა ამერიკელები, რომ მას მგზნებარედ სწამს თავისი ქვეყნის მომავალი და მისი სოციალური სისტემა... მას მოაყავს დამაჯერებელი საბუთები, რომ საბჭოთა სისტემა მის ქვეყანაში მთელი გაქანებით მუშაობს. ხოლო გამარჯვებანი, მოპოვებული მისი იმ უნარის მეოხებით, რომ თავი მოუყაროს მეცნიერულ და ტექნიკურ ძალებს, გვაფიქრებინებენ, რომ საქმე გვაქვს რეალურ და ხანგრძლივ გამოწვევასთან. საზოგადოებისა და ეკონომიური სისტემების ორივე ფორმას შეუძლია თანაარსებობა, მოკლედ რომ ვთქვათ, ბატონი ხრუშჩოვი გვაძლევს შესაძლებლობას და გვთავაზობს — ჯერ კიდევ შესამოწმებელ შესაძლებლობას — მოვახდინოთ ნამდვილად გადამწყვეტი მობრუნება საერთაშორისო ურთიერთობაში და ამით გავთავისუფლოთ ადამიანები ზედმეტი შეიარაღების ტვირთის ნაწილისაგან მაინც. იგი გვთავაზობს აგრეთვე ჩავებათ პოლიტიკურ და სოციალურ შეჯიბრებაში საბჭოთა სისტემასთან. ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, ხოლო გამოწვევა — მივიღოთ“.

პარიზის პრესა ათავსებს დაწვრილებით ცნობებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ და ხაზს უსვამს მის გულთბილ და გულითად შეხვედრებს უბრალო ამერიკელებთან: „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი პიერ კურტადი აღნიშნავს, რომ იმ ამერიკელებს შორის, რომლებსაც იგი ესაუბრა, მას არ შეხვედრია არც ერთი, რომ არ იწონებდეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამ მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. რაიმონ აარონი კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში და გაზეთ „ფიგაროში“ წერს, რომ ეს ვიზიტი ისტორიული მოვლენაა. აარონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და დ. ეიზენჰაუერის მომავალი გამგზავრება სსრ კავშირში დარჩება იმ ეპოქის სიმბოლოდ, როცა ყველაზე ძლევამოსილი და ერთმანეთისადმი ყველაზე მტრული სახელმწიფოების ხელმძღვანელები ხელს ართმევენ ერთმანეთს და გულითადი სიტყვებით მიმართავენ, რადგან მათი საერთო დაინტერესებულება მშვიდობის შენარჩუნებით უფრო მაღლდგას, ვიდრე მათი ინტერესების წინააღმდეგობა.

გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტიის ორგანო გაზეთი „ბაუერნ-ეხო“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შეტანილი წინადადებები მარტივი და ნათელია: არ იქნება იარაღი და ომის წარმოების საშუალებანი, არ იქნება არც ხალხთა ქლეტა. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამ იდეას მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები, რადგან მშვიდობიანი თანაარსებობა თანაარსებობის ერთად ერთი შესაძლებლობაა.

კომენტარს უკეთებს რა განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადებებს, ეარყეს გაზეთი „ზაარ-ბანანი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ხრუშჩოვის გამოსელაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, გამოხატავენს ბოლოს მთელ მსოფლიოში, გაზეთი საბჭოთა მთავრობის მეთაურის წინადადებებს უწოდებს „ძვირფას და კონსტრუქციულ პროექტს, რომელიც, თუ იგი მიიღეს, შეუძლებელს გაბდის ომს და უზრუნველყოფს ყველა ხალხის უშიშროებას“. ეარყეს მეორე გაზეთი — „ალ-ბალიადი“ წერს: „მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის აზრით, ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამშვიდობოდ გამოხატავს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან დამოკიდებულებას ამერიკელი ხალხის მიმართ. მისი მიზანია ცივი ომის შეწყვეტა დასავლეთის ხელმძღვანელებთან და, კერძოდ, ეიზენჰაუერთან უშუალო კონტაქტების დამყარების გზით. ამასთან დაკავშირებით ძნელია ჯერჯერობით არ შევეფასოთ იმ სიტყვის მნიშვნელობა და ღირებულება, რომელიც ხრუშჩოვმა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. თუ ის სამშვიდობო წინადადებები, რომლებზედაც ლაპარაკია სიტყვაში, განხორციელდება, მსოფლიო განთავისუფლდება ომის საფრთხისაგან. საბჭოთა წინადადებების რეალიზაცია ნიშნავს აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხთა განთავისუფლებას არა მარტო სიკვდილის საფრთხისაგან, არამედ აგრეთვე შიმშილისაგან, სიღატაკისა და გაჭირვებისაგან.

კაიროს გაზეთები აღნიშნავენ მხურვალე მიღებას, რასაც ამერიკის უბრალო ადამიანები უმართავენ საბჭოთა სტუმარს, აგრეთვე აქვეყნებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მრავალ გამონათქვამს. პრესაში განსაკუთრებით გამოყოფენ იმ ადგილს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსელიდან ბანკეტზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა სან-ფრანცისკოს მერმა, რომელშიც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის სურვილზე — თავიდან აიცილოს ომი მთელი მისი საშინელი შედეგებით კაცობრიობისათვის. გაზეთი „ალ-მასა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განიარაღებით უაღრესად დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა ხალხი, რადგან ისინი თავიანთ ზურგზე განიცდიან გამალებული შეიარაღების მთელ სიმძიმეს.

ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

დელი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დელის ოფიციალური წრეები დადებითად ეკიდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მხარს უჭერენ მშვიდობის პოლიტიკას

პარიზი, 25 სექტემბერი. (საკდესი). პარიზის პრესა შეუნელებლად ადევნებს თვალყურს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ხრუშჩოვმა შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელებზე“, — აღნიშნავს ყოველკვირეული ორგანო „ფრანს-ობსერვატერი“. გაზეთი „კრუა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალაქ დე-მოინს დიდ ხანს ეხსომება საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტი. ამ ქალაქის მოსახლეობა, წერს გაზეთი, ისევე, როგორც ხრუშჩოვის მოგზაურობის გზაზე მდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობა, გამოვიდა ქუჩაში, რათა მისალმებოდა მას. „კრუა“ აღნიშნავს გულითადობას, რომლითაც ხრუშჩოვს შეხვდნენ.

გაზეთ „მონდის“ სპეციალური კორესპონდენტი აღწერს ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრას ამერიკელ ფერმერებთან და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური ცხოველ ინტერესს იჩენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი საკითხისადმი. იგი გამოხატავს ამ შეხვედრების დამსწრეთა საერთო შთაბეჭდილებას და წერს: „აწარმოოს მეტი და უკეთესად, ნაკლები მუშახელის გამოყენებით, ასეთია ხრუშჩოვის „მთავარი მიზანი“.

ფრანსუაზა ჯირუ კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში და აღნიშნავს ყოველკვირეულ „ექსპრესში“, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებანი განიარაღების შესახებ ფართო მხარდაჭერას პოულობს, და შემდეგ წერს: ცივი ომის მომხრენი ყოველნაირ მოსაზრებას აყენებენ დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ და განიარაღების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ვერავითარი პოლიტიკა ვერ მოიპოვებს ხალხების იმაზე მეტ მხარდაჭერას, ვიდრე პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის განმტკიცებას.

კორესპონდენციაში, რომელსაც ხელს აწერს სიდნეი კუპერი და რომელიც გამოქვეყნებულია „ექსპრესში“, ნათქვამია, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკელებზე. „ამერიკელებმა, — წერს იგი, — ნახეს ნათელი გონების, დიდად მჭევრმეტყველი და დაუცხრომელი ენერგიის ადამიანი“.

ამერიკელი ხალხი ტაშს უკრავს

რომი, 23 სექტემბერი. (საკდესი). „შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნის ყოველ საათში ამერიკელთა ენთუზიაზმი სულ უფრო მატულობს მის მიმართ“, — აცხადებს დღეს იტალიური გაზეთი „პაეზე“. ეს აიხსნება, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, საბჭოთა მთავრობის მეთაურის „გრანდიოზული წინადადებით“ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

„ხრუშჩოვი შეერთებულ შტატებში ჩავიდა, — განაგრძობს გაზეთი „პაეზე“, — რათა ამერიკელ ხალხს შესთავაზოს სამუდამო მშვიდობა. ამერიკელი ხალხი ცხადყოფს, რომ გრძნობს ამას და ტაშს უკრავს ხრუშჩოვს, ულიმის მას, მისკენ მიიწევს სულ უფრო ახლოს, სურს დაინახოს იგი, შეეხოს. ამერიკელებმა... გაიგეს, რომ ხრუშჩოვის წინადადებანი განიარაღების შესახებ არა მარტო აქტუალურია, არამედ ამასთან შეიძლება მათი განხორციელება“.

მეგობრობის სიმღერა

„მოვჭრი, ვგავარ ღამის მოეკარს,
შეუხორცდა მხარეს წყლული.
პოლონეთის გზაზე ვდგავარ
და გავტეხე ძმობის პური.
ესეც ჩემი საბუთია.
გულით საბუთს ვინ ამოხევს?
გზა მშვიდობას გაუთია,
გუშინ ხისხლით რომ გაპოხეს.
...წალმა ბრუნავს ქვეყნის ჩარხი,
შუქი ადგას გაშლილ რიყეს,
და, მგონია, ყველა სახლი
მობრუნდა და კარებს გვიღებს“

საბჭოთა ადამიანის გრძნობას, რომელმაც ფეხი შედგა მომმე პოლონეთის მიწაზე, მის სიყვარულსა და მეგობრობას შრომისმოყვარე პოლონელ ხალხთან ასეთი სტრიქონებით გადმოგცემს ცნობილი ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანი ლექსში „პოლონეთის გზებზე“. ამ ლექსით იხსნება სახალხო პოლონეთისადმი მიძღვნილი მისი წიგნი, რომელიც ახლახან გამოუშვა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“. კრებულში შესულ ლექსებში ავტორი მოგვითხრობს თავის მოგზაურობაზე პოლონეთში, პოლონელ მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

ნემსის ამოღება გულიდან

ტერნოპოლი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ქალაქის პოლიკლინიკაში საკონსულტაციოდ მივიდა პოდგაეცის სარემონტო-ტექნიკური სადგურის ბუღალტერი ა. ს. ზაიაცი. იგი ჩიოდა, გულის არეში ძლიერი ტკივილი მაქვსო. ქალი ძალიან გამხდარიყო, ვეღარ მუშაობდა და თითქმის ვერ იძინებდა. დღითიდღე მდგომარეობა უარესდებოდა. დეტალური გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ ავადმყოფის გულის ქსოვილებში არის ნემსი. ნემსის უყნწი ჩარჩენილიყო გულის კუნთში, ხოლო წვერი სისხლის წნევის გამო განუწყვეტლივ ირხეოდა და ტანჯავდა ავადმყოფს. საჭირო იყო ოპერაცია, რომელიც გააკეთა ქირურგმა ა. მ. სტოლიაროვმა. ოპერაციის დროს მან ქალს გულიდან ამოუღო ნემსი, რომელიც გულის კუნთში იყო ოთხ თვეზე მეტ ხანს. ანა ზაიაცი საავადმყოფოდან გაეწერა და თავს კარგად გრძნობს.

მფრინავ ვ. ილიუშინის მსოფლიო რეკორდი

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურმა აეროკლუბმა ავიაციის საერთაშორისო ფედერაციისაგან მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა მფრინავის ვლადიმერ ილიუშინის თვალსაჩინო მიღწევა დამტკიცებულია როგორც ახალი მსოფლიო რეკორდი თვითმფრინავის სპორტში.

მან თავისი რეკორდული ფრენა მოაწყო მიმდინარე წლის 14 ივლისს „ტ-431“ თვითმფრინავით, რომელსაც ერთი ტურბორეაქტიული ძრავა აქვს. თვითმფრინავი ავიდა 28.852 მეტრ სიმაღლეზე. ეს შედეგი 1041 მეტრით სჯობს მსოფლიო რეკორდს, რომელიც ეკუთვნოდა ამერიკელ მფრინავს ჰოვარდ ჯონსონს.

(საკდესი).

ახალი მინერალური წყალი

ლენინგრადი. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრის მახლობლად, მდინარე ლასკადურას მარჯვენა ნაპირზე ამას წინათ ამოვიდა მინერალური წყალი, რომლის დებიტი საკმაოდ დიდია. ეს წყალი, როგორც ლაბორატორიულმა ანალიზმა დაადასტურა, თავისი სამკურნალო თვისებებით განსხვავდება რესპუბლიკაში დღემდე ცნობილი წყლებისაგან. ქიმიური შემადგენლობით იგი კურორტ ესენტუკის წყლის მსგავსია.



ყაზალინსკი. კურორტის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო ბ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქართული კულტურის დღეების წინ პოლონეთში

სოციალისტურ პოლონეთს, მის ხალხს, რომელსაც მდიდარი კულტურა და ლიტერატურა, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები აქვს, უძღვნიან ნაწარმოებებს ქართველი ლიტერატორები, პოეტები, რომლებიც წარმოდგენილი არიან კრებულში „ქართველი მწერლები პოლონეთის შესახებ“. ეს კრებული იხსნება ქართული პოეზიის შესანიშნავი ოსტატის პოლო იაშვილის ლექსით „ექსპრომტი პოლონეთს“. ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული პოლონეთის დიდი პოეტის ადამ მიცკევიჩისადმი გამოხატულია პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის ლექსით, რომელიც მან წარმოთქვა ქალაქ კრაკოვში პოეტის საფლავის წითელი ვარდებით შემკობის დროს. კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე ს. ჩიქოვანის, თ. ჯანგულაშვილის ლექსები, თ. გოგოლაძის მოთხრობა „პარჩევის ტყეში“.

ქართველ მკითხველს ბევრი თვალსაჩინო პოლონელი მწერლის შემოქმედებას აცნობს წიგნი „პოლონეთის პროზა და პოეზია“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა. პოეზია ამ კრებულში წარმოდგენილია ადამ მიცკევიჩის ლირიკული ლექსებით, სონეტებით, ბალადებით და რომანსებით და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე მთარგმნელის, ქართული ლიტერატურის დიდი მეგობრის იულიანე ტუვიმის ორი ლექსით. პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია ბ. პრუსის, გ. სენკევიჩის, მ. კონოპნიცკას, ა. დიგასინსკის, გ. დანილოვსკის, მ. დომბროვსკას, ა. რუდნიცკის, ი. ივაშკევიჩის, ე. ოგუშევსკას, ვ. გრუბინსკის, მ. იაროხოვსკას და ს. კოვალევსკის მოთხრობები.

ჩვენი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების დამფასებელთა უეჭველ ინტერესს გამოიწვევს ახალგაზრდა მხატვრის ჰენრიეტა იუსტინსკას წიგნი „იან მატეიკო“. წიგნში მოთხრობილია დიდი პოლონელი მხატვრის, ისტორიული ფერწერის გამოჩენილი ოსტატის ცხოვრება და შემოქმედებითი გზა. წიგნში, რომელიც ლამაზად გააფორმა თვით ავტორმა, შეკიდია იან მატეიკოს იმ სურათების 16 რეპროდუქცია, რომლებიც ეძღვნება სხვადასხვა მოვლენას პოლონეთის ისტორიიდან.

ოპერისა და გალეტის თეატრში

ბევრი გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი მსახიობი ჰყავს მოწვეული მიმდინარე სეზონში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს. 25 სექტემბერს ბ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში“ ტატიანას პარტიის შესრულებით დაიწყო გასტროლები ცნობილმა რუმინელმა მსახიობმა, რუმინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პრემიის და ვოკალისტთა მოსკოვის VI საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ლიუნჩა სტანესკუმ. 27 სექტემბერს იგი იმღერებს მარგარიტას პარტიას გუნოს ოპერა „ფაუსტში“.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში სპექტაკლები „აიდა“, „ჯამბაზები“, „კარმენი“, და „ტოსკა“ გაიმართება ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის მ. ზაიკის მონაწილეობით (ლირიკულ-დრამატული ტენორი), ხოლო ოქტომბრის ბოლოს მოელიან ცნობილ ტენორს, ბუდაპეშტის ოპერის სახელმწიფო თეატრის პრემიერს იოჟეფ შიმანდის. იგი თბილისში ჩამოვა სსრ კავშირის დიდ თეატრში გასტროლების შემდეგ. მსახიობი გამოვა ოპერებში „აიდა“, „კარმენი“ და „ტრუბადური“.

დაიწყო მოგებათა გაცემა

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო მოგებათა გაცემა საქართველოს სსრ 1959 წლის მესამე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებზე.

შემნახველ სალაროებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში დიდი გამოცოცხლებაა. ათასობით მოქალაქე იდგენს მოგებულ ბილეთებს და იღებს მოგებას — სხვადასხვა ძვირფას ნივთებს და ფულს.

თბილისში უკვე წარმოდგენილია ლატარიის ბილეთები, რომლებმაც მოიგეს რადიოლა „ლუქსი“, მაცივრები, სარეცხი და საკერავი მანქანები, ხალიჩები, მტვერსასრუტები, ტელევიზორები და სხვ. კიროვის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ავტობუსის მძღოლმა აიღინ ბახმალოვმა წარადგინა ლატარიის 13182 სერიის № 150 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა 25.000 მანეთიანი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ამ დღეებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მეოთხე გამოშვების ლატარიის ბილეთების გაყიდვა. მარტო თბილისში ყოველდღე რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ბილეთები იყიდება. მეოთხე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართება ქ. სოხუმში 30 ნოემბერს.

იზრდება მშრომელთა შემოსავალი

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარი შემნახველი სალაროს მეანაბრეა. მათ მიერ შემოტანილი ანაბრების საერთო თანხამ უკვე 16 მილიონ მანეთს მიაღწია.

რაც დრო გადის, მეანაბრეთა რიცხვი დიდდება. იზრდება სალაროში შეტანილ ანაბართა რაოდენობა. მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში ანაბართა თანხამ 1,4 მილიონ მანეთს გადააჭარბა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამაზე ბევრად ნაკლები ანაბრები იყო შემოტანილი მთელი გასული წლის მანძილზე.

ეს ციფრები მკაფიოდ მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ უმჯობესდება ტყიბულელ მეშახტეთა ცხოვრების პირობები და იზრდება შრომითი შემოსავალი.

კვლავ უარი...

აკადემიკოს სკობელცინს უარი უთხრეს ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზაზე

როგორც ცნობილია ამა წლის აპრილში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის კომიტეტმა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1958 წლის ლენინური პრემია მიანიჭა ცნობილ ამერიკელ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დოქტორ უილიამ დიუბუას, მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის. უ. დიუბუასათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ოქროს მედლისა და დიპლომის გადასაცემად ამა წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა წასულიყო საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი.

როგორც ცნობილი გახდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მიზეზების აუხსნელად უარი უთხრა ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზაზე აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინს.

მილიონი წლების წინ

დუშეთი. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის ზაფხულში დუშეთის რაიონსა და მის მომიჯნავე ადგილებში მუშაობას აწარმოებდა ნავთობის საკავშირო ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფი. მუშაობის პროცესში დაგროვდა საინტერესო მასალები, რომელთა შესწავლა შუქს მოჰფენს დუშეთის რაიონის გეოლოგიურ წარსულს.

ამასთან დაკავშირებით გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ძველაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— ივლის-აგვისტოში მუშაობა მოგვიხდა ბაზალეთის ტბის მიდამოებში, სადაც გავრცელებულია 5-12 მილიონ წლის წინათ დალექილი მსხვილკენჭებიანი კონგლომერატები და თიხნარები. იქვე სოფელ ყარსიმაანთკარის მიდამოებში, დადიანთწყაროს ხევში მოიპოვება მუქნაცისფერი და მოყავისფრო შრეები, რომელთა სისქე ერთ-ორ მეტრს არ აღემატება. ერთ-ერთი ასეთი თიხნარის ფენაში ჩვენ ვიპოვნეთ აუარებელი „გაქვავებული“ ძვლების ნაშთები. ეს ძვლები ჩავიტანეთ თბილისში, პალეობიოლოგიის ინსტიტუტში. აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ლ. დავითაშვილი და ინსტიტუტის ხერხემლიანთა განყოფილების გამგე პროფესორი ლ. გაბუნია ძლიერ დაინტერესდნენ კავკასიისათვის ამ უნიკალური აღმოჩენით და ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებთან ერთად დამატებითი გათხრები აწარმოეს სოფელ ყარსიმაანთკარში. სხვა მასალებს გარდა, ხევში წავაწყდით (პირველად ლ. გაბუნიამ შენიშნა) ხერხემლიანი დიდი ცხოველის კარგად შენახულ თავის ქალას. მასზე მშვენივრად შენახული ყბები და კბილებიც აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ აღნიშნული თავის ქალა და ძვლები ჟირაფისაა, ხოლო სხვა მასალებში გამოცნობილ იქნა ცხენის წინაპრის — სამთითა ცხენის — ჰიპარიონის ნაშთები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემდეგში, მასალების უფრო დეტალური შესწავლით, ამ უბანზე უეჭველად კიდევ ბევრი სხვა, ამჟამად გადაშენებული ცხოველის ნაშთი იქნება აღმოჩენილი და საქართველოს პალეობიოლოგიისათვის საინტერესო ფაქტები იქნება მოპოვებული. მსგავსი ძვლები უეჭველად აქვე სხვა ხევებშიც არის, მხოლოდ ხაფირთა ძებნა.

საინტერესო პალეონტოლოგიური აღმოჩენა ბაზალეთის ტბის მიდამოებში

დღეისათვის დადგენილი მასალების წინასწარი შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბაზალეთის ტბის მიდამოებში და დუშეთის რაიონის ბევრ სხვა ადგილას 5-8 მილიონი წლის წინათ (ე. ი. მიოცენური პერიოდის მიწურულში და პლიოცენური დროის პირველ ნახევარში) ფართო ზღვისებური აუზის გვერდით საკმაოდ გაშლილი, სტეპისებური ტიპის მობიბინე ბალახიანი და აქა-იქ ბუჩქებით დაფარული ხმელეთი არსებობდა. ეს ხმელეთი პალეო ანუ ძველი კავკასონის სამხრეთი კალთები უნდა ყოფილიყო. ამ სტეპზე მრავლად დაეხეტებოდნენ დიდი ხერხემლიანი ცხოველები, დიდთავიანი ჭრელი ჟირაფები, დარბოდნენ ცხენების წინაპარი ჰიპარიონები. იმდროინდელ ჟირაფებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ თანამედროვე ჟირაფებისათვის დამახასიათებელი გრძელი კისერი და მაღალი ფეხები. ისინი ვირის მაგვარი ცხოველები იყვნენ. იკვებებოდნენ ბალახით და მცენარის ფოთლებით.

პლიოცენის მეორე ნახევრიდან დედამიწის დიდ ფართობზე და კერძოდ ჩვენშიც — საქართველოში ჰავის აცივების დაწყებასთან ერთად (ამ აცივებას მეოთხეულის გაყინვარებაც მოჰყვა) ხერხემლიანი ცხოველები, რომლებმაც ვერ მოახერხეს უფრო თბილი ადგილებისაკენ გადასვლა, ამოწყდნენ. ეს ბედი ეწია დუშეთის რაიონის ჩრდილო მხარეს და მის მომიჯნავე უბნებზე მცხოვრებ ჟირაფებსა და ჰიპარიონებსაც. ისინი ვერ შეეგუნენ ცივ გარემოს და მასობრივად იხოცებოდნენ. მათი ლეშები დუშეთის რაიონის სამხრეთ ნაწილში მდებარე ტბიურ („ზღვისებურ“) აუზში ჩაჰქონდათ იმ მდინარეებსა და ნიაღვრებს, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიედინებოდნენ.

ასეთივე გზით არის ჩამოტანილი მდინარეებისა და ნიაღვრების მიერ ჟირაფებისა და ჰიპარიონების ნაშთები ბაზალეთის ტბის მახლობლად (მაშინ ბაზალეთის ტბა, რასაკვირველია, არ არსებობდა, ეს ადგილი უფრო ფართო „ზღვით“ იყო დაფარული).

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება გვეპოვნა გადაშენებულ ცხოველთა ეს „სასაფლაო“, რომელსაც მეცნიერი მკვლევარები ალბათ უახლოეს ხანში დეტალურად შეისწავლიან და დაგროვებენ ბევრ ახალ და საინტერესო მეცნიერულ მასალას, რომელიც შუქს მოჰფენს ჩვენი მიწის შორეულ გეოლოგიურ წარსულს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკე მსახიობის ისეთივე სამუშაო იარაღია, როგორც მწერლისათვის კალამი ან მხატვრისთვის ფუნჯი. სარკის წინ იგი ამუშავებს, ხვეწავს თავისი როლის ყოველ შტრიხს, ყოველ მოძრაობას თუ სახის გამომეტყველებას. ახალგაზრდა მსახიობმა **მერი ლომაძემ** იცის ეს. მერის ახლა დიდი მუშაობა სჭირდება, იგი ხომ პირველად თამაშობს კინოსურათში „წინ გაზაფხულია“, — კინოობიექტივი კი ვერ ითმენს ყალბ, მოუფიქრებელ თამაშს.

მიხდება ეს ღიმილი? — ფიქრობს მერი.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეიფელის კოშკზე მაღალი

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე რადიოელექტრონიკის პავილიონის პირველ დარბაზში დგას მაღალი, არაჩვეულებრივი ფორმის ნაგებობა, რომელსაც სურათზე ხედავთ. ეს მოსკოვის სატელევიზიო ცენტრის კოშკის მაკეტია. ამ კოშკის აგება ოსტანკინოს პარკის მახლობლად უნდა დაიწყოს.

...ლიფტის კარი ჩაიკეტა, და 80 წამის შემდეგ მგზავრები 400 მეტრ სიმაღლეზე ავიდნენ. აქედან მთელი მოსკოვი ჩანს. მარცხნივ არის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, ოსტანკინოს პარკი, მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღი. მოპირდაპირე მხარეს ქალაქის კვარტალებია. გგონია, მთლად ახლოს არის საველოვის ვაგზალი, მშვიდობის პროსპექტი, მაღალი შენობები. მოსკოვის მეორე მხარეს კი უნივერსიტეტი მოჩანს.

ქალაქს აივნიდან რომ დაათვალიერებენ, ექსკურსანტებს შეეძლებათ ისადილონ რესტორანში, რომელიც მოთავსებულია იქვე, კოშკში — რამდენიმე ასეულ მეტრ სიმაღლეზე. ახე იქნება სამი-ოთხი წლის შემდეგ, როცა ნაგებობა მწყობრში ჩადგება...

მოსკოვის ტელეცენტრის კოშკი ულიკალური ნაგებობაა. მის დაბლა ნაწილში, რომელიც ნავარაუდევია მონოლითური რკინაბეტონისაგან გაკეთდეს, განლაგდება გადამცემი სადგური. იგი გაანგარიშებულია სამი სატელევიზიო (ერთი მათგანი ფერადი იქნება) და სამი რადიომაუწყებლობის პროგრამისათვის.

508-მეტრიან თავისუფლად მდგომ კოშკში იქნება ყველაფერი, რაც კი საჭიროა თანამედროვე სატელევიზიო ცენტრისათვის. კოშკის 392 მეტრი სიმაღლის გრანდიოზულ ქვემო ნაწილში ოთხი ზონაა, რომელთაგან თვითეულში რამდენიმე სართულია. პირველი ზონა ის ადგილია, რომელშიც ყველა გადამცემი სადგური დამონტაჟდება. ცოტა უფრო მაღლა რესტორანის სამზარეულოა. შემდეგ, უკვე მეორე ზონაში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებთან და უცხოეთის ტელეცენტრებთან სატელევიზიო პროგრამების გასაცვლელი სააპარატო.

136 მეტრ სიმაღლეზე დაბურული აივანია. მეორე ზონის მთელი მეექვსე სართული განკუთვნილია ექსკურსანტებისათვის — აქ ქალაქის დასათვალიერებელი აივანია, მაგრამ ეს ქვედა „საექსკურსიო გალერეაა“. მნიშვნელოვნად უფრო მაღლა იქნება კიდევ ერთი გალერეა. აქედან ალბათ მთელი მოსკოვის პანორამა გადაიშლება.

სატელევიზიო კოშკი უწინარეს ყოვლისა ტექნიკური ნაგებობაა. იქ ძირითადი ყურადღება ეთმობა სააპარატოებს, ტექნიკურ სამსახურს, გადამცემ სადგურს, რამდენიმე სამგზავრო და სატვირთო ლიფტს, სხვადასხვა კომუნიკაციებს. 392 მეტრ სიმაღლეზე რკინაბეტონის კონსტრუქციაზე დაიდგმება ფოლადისაგან ნაკეთები გაგრძელება, რომლის დიამეტრი 7 მეტრი იქნება. ფოლადის შპილი, რომელშიც ყველა ანტენა იქნება, 508 მეტრ სიმაღლემდე აიტაყორცნება.

ოსტანკინოს კოშკი ეიფელის კოშკზე ერთნახევარჯერ და უფრო მაღალი იქნება! იგი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ტელეგადაცემათა ტექნიკურ ხარისხს. შესაძლებელს გახდის ტელეგადაცემათა კარგად მიღებას 110-120 კილომეტრ რადიუსზე.

ბ. კოსტინი.



«სამზარეულო ელვა»

პრაღის ვაკუუმის ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა შექმნეს არაჩვეულებრივი „სამზარეულო — ელვა“. ეს უახლესი მოწყობილობაა კერძების უსწრაფესად მომზადებისათვის. მასში გამოყენებულია რადიოლოკაციური ტექნიკასა და დიათერმიაში ცნობილი პრინციპი. „მაგნეტრონგრილი“ ხრაკავს და ხარშავს უეცარლოდ. ენერგიის წყაროდ ამისათვის იყენებენ „მაგნეტრონს“. ქათამი შეიძლება შეიწვას 12 წუთში, 1 კილოგრამი ხორცი — 15 წუთში და ა. შ. „მაგნეტრონგრილის“ მეორე უპირატესობა ის არის, რომ იგი საკვებს უნარჩუნებს ბევრად უფრო ძვირფას თვისებებსა და ვიტამინებს, ვიდრე ჩვეულებრივ მომზადებისას, „მაგნეტრონგრილი“ გამოყენებული იქნება უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, საავადმყოფოებში.

(„სოვეტსკაია ტორგოვლია“)

სასამართლოს დარბაზიდან

მკვლელს—დახვრეტა

ახალციხის სარაიონო კულტურის სახლის დარბაზში განიხილეს ბოროტმოქმედების — გიორგი მაქსიმეს-ძე პაპჩენკოს და გიორგი მიხეილის-ძე პლაჭიაშვილის საქმე. მათ საპატიო შრომას ბოროტების გზა არჩიეს. 1956 წლის 14 აგვისტოს წინასწარი განზრახვით გზა გადაუჭრეს საზაფხულო იალაღებზე მყოფ სოფელ გურკელის მესაქონლეობის ფერმაში სამუშაოდ მიმავალ ახალციხის პედაგოგიური სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტს ნაზი ხრიკაძეს და მოინდომეს მისი გაუპატიურება.

ბოროტმოქმედები სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ და ძალით მიაღწიეს მიზანს. შემდეგ კი დანაშაულის დაფარვის მიზნით წამებით მოჰკლეს სიცოცხლით სავსე, შრომისა და სწავლის მოყვარე გოგონა.

მკვლელობა დიდხანს საიდუმლოებით იყო მოცული. საბოლოოდ შუბი ხალთაში არ დაიმალა, და პაპჩენკოსა და პლაჭიაშვილის ბოროტმოქმედებას ფარდა აეხადა.

გადაგვარებული ახალგაზრდების საქმე ამას წინათ ახალციხეში განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. დ. ბაღათურიას თავმჯდომარეობით. სასამართლომ გ. პაპჩენკოს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, ხოლო გ. პლაჭიაშვილს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა (ხელფეხშეკრულობაში იქნა მიღებული დანაშაულის ჩადენისას პლაჭიაშვილის არასრულწლოვანება).

სასამართლოს განაჩენს დამსწრენი მოწონებით შეხვდნენ.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

(საკ. კორ.)

პრესის ფურცლებზე

სერჟანტის მოსახერხებულობა

ეს მოხდა ივლისში სასწავლო მეცადინეობის დროს. სამხედრო ქვეგანაყოფი ღამე პარაშუტით ხტომაში ვარჯიშობდა. მებრძოლთა ერთ-ერთ ჯგუფთან ერთად თვითმფრინავიდან გადმოხტა სერჟანტი პეტრე ლაპტევიც. ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ უცებ...

ლაპტევმა უფრო ირძნო, ვიდრე დაინახა, რომ პარაშუტის სტროპებს შუა შეიჭრა ადამიანი. დიდი სისწრაფით ქვევითკენ მიმავალი ჯარისკაცი ერთი წამით შეჩერდა სერჟანტის მხარზე. ეს იყო რეგითი მებრძოლი კლუმეშვი. მისი პარაშუტის გუმბათი დაფუყფულიყო, რა ქნას, როგორ გადაარჩინოს ამხანაგი?

სერჟანტმა ხელი ჩაავლო კლუმეშვილს სათადარიგო პარაშუტს. მაგრამ მისი გახსნა შეუძლებელი იყო — სტროპები უშლიდა.

— მოეჭიდე ჩემი პარაშუტის სტროპებს! — უბრძანა მან მებრძოლს.

ორნი აღმოჩნდნენ ერთი გუმბათის ქვეშ. ძირს დაშვების სისწრაფემ იმატა. მიუხედავად იმისა, რომ მხარზე ამხანაგი ეწვა, პეტრე ლაპტევი კარგად დაეშვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სერჟანტი პეტრე გრიგოლის-ძე ლაპტევი ამხანაგის გადარჩენის დროს მამაცობისა და მოხერხებულობის გამოჩენისათვის „დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

(„გაზ. „სოვეტსკაია როსია“).

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი

ბლედი, 25 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი დიდოსტატი ი. ბონდარევსკი იუწყება:

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის მეთერთმეტე ტურში ტურნირის ლიდერი დიდოსტატი კერესი შავებით ეთამაშებოდა პეტროსიანს. ინგლისურ დებიუტში პეტროსიანმა მიიღო რომდენადმე უკეთესი შანსი. მაგრამ ესტონელმა დიდოსტატმა მოახერხა საკმაოდ კარგი კონტრთამაში. უკვე 26-ე სვლაზე, როცა დაფაზე ფიგურების დიდი რიცხვი იყო, პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი სამი შეხვედრა ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა. გლეგორიჩის მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ფიშერთან. ბენკომ სმისლოვთან გათამაშებულ პარტიაში პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, ხოლო შემდეგ პაიკი მოიგო. მწვავედ მიმდინარეობდა ოლაფსონ-ტალის შეხვედრა. პარტიის დასაწყისში ისლანდიელმა დიდოსტატმა პაიკი შეწირა და ძლიერ ინიციატივიანი თამაში მიიღო. მაგრამ მალე ოლაფსონი ციტნერტში აღმოჩნდა და ტალმა მოიპოვა პოზიციური უპირატესობა. გადადებულ პარტიაში მას აქვს ერთმანეთთან დაკავშირებული საშიში გამსვლელი პაიკები ცენტრში.

«ნეპ-შტადიონზე» შეხვედრის წინ

როგორც ცნობილია, ბუდაპეშტში 27 სექტემბერს „ნეპ-შტადიონზე“ გაიმართება სსრ კავშირის და უნგრეთის ფეხბურთის ნაკრები გუნდების მატჩი „ევროპის თასზე“. უკვე დაკომპლექტებულია ორივე ქვეყნის ნაკრებების შემადგენლობა. საბჭოთა გუნდში არიან ლ. იაშინი, ვ. ივაკინი, ვ. კესარევი, ა. მასლოინკინი, ბ. კუზნეცოვი, ი. ეოინოვი, ი. ნეტო, ს. მეტრეველი, ვ. ივანოვი, ა. მამედოვი, ვ. ბუბუკინი. მ. მესხი, ა. კრუტიკოვი, ა. ილინი. უნგრეთის ნაკრებში ითამაშებენ გროშიჩი, მატრაი, შიპოში, შაროში, ბოჟიკი, ბუნჯაკი, სოიკა, კოტასი, შანდორი, გიორაჩი, ალბერტი, ტიხი და ფენჯეში.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ნახევარფინალების ფინიშზე

დასასრულს მიუახლოვდნენ საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ჭალთა XXI პირველობის ნახევარფინალების მონაწილენი. თვითეულ ტურნირში გასათამაშებელი დარჩა მხოლოდ ერთი-ორი ტური.

რიგის ნახევარფინალში ბრძოლა იმდენად მწვავედ მიმდინარეობს, რომ ჯერაც შეუძლებელია იმის თქმა, თუ ვინ მოხვდება ფინალში, ახლა როცა მხოლოდ ორი ტური დარჩა, ლიდერთა ჯგუფში არიან ესტონელი ა. კურე (7,5 ქულა ერთი წასაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია), მოსკოველი ა. კუშნირი (7 ქულა), თბილისელი ე. კაკაბაძე (6,5 ქულა და ერთი მოგებულ მდგომარეობაში გადადებული პარტია), ლიტველი ა. კაუშილაიტე, ლენინგრადელები თ. დმიტრიევა და ა. სოპროვსკაია (6 ქულა თვითეულს). რა მოხდა უკანასკნელ სამ ტურში, რომ ერთთან დაწინაურდა ამდენი მოჭადრაკე? საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ლიდერმა განიცადა თითო დამარცხება, ხოლო კაუშილაიტემ ორიც. კაკაბაძემ ციტნერტში წაახდინა უკეთესი პოზიცია დოქტორთან და დამარცხდა. ორი დანარჩენი შეხვედრა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ლ. რუდენკოსა და ა. ჩუკაშვილასთან ყაიმით დაამთავრა. მხოლოდ კუშნირს არ წაუგია პარტია. მან ორი ქულა დააგროვა. მართალია, არც კურეს განუცდია დამარცხება, მაგრამ მას უიმედო პოზიცია აქვს ლატვიის ჩემპიონ ნახიმოვსკაიასთან.

დიდად საინტერესოა დასკვნითი ტურების შეხვედრები. კაკაბაძეს ელის მეტად საპასუხისმგებლო პარტიები კურესა და ნახიმოვსკაიასთან, კუშნირს რუდენკოსა და კურესთან.

ღიად რჩება აგრეთვე საკითხი, თუ ვინ გავა ფინალში ჩერნიგოვის ნახევარფინალიდან. აქაც ლიდერობს მოჭადრაკეთა დიდი ჯგუფი: ნ. ვოიცეკი, ვ. ტიხომიროვა, ტ. კრიუკოვა, ლ. იაკირი. მათ 8-8 ქულა აქვთ, ხოლო უახლოეს მეტოქეებს — ვ. ბორისენკოსა და ა. ჩაიკოვსკაიას 7 ქულა თვითეულს.

ფინიშზე ლიდერებმა მოუმატეს ტემპს. გარდა ბორისენკოსი, არავის არ დაუკარგავს ნახევარ ქულაზე მეტი. ბათუმელმა ჩაიკოვსკაიამ მოუგო ფ. კონიაევას და ე. ლომოვატსკაიას. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ნახევარფინალში სათამაშო დარჩა მხოლოდ დასკვნითი მეცამეტე ტური, მისი შანსები ფინალში მოხვედრისათვის პრობლემატურია.

აღსანიშნავია ქ. გოგიაევას ბრწყინვალე თამაში მეთორმეტე ტურში ტურნირის ლიდერ ტ. კრიუკოვასთან, რომელიც ერთადერთი მიდიოდა დაუმარცხებლად. ქართველმა მოჭადრაკემ ლამაზი მანევრებით მოიპოვა გამარჯვება. პარტია წარდგენილია პრიზზე, როგორც ტურნირის საუკეთესო პარტია.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბ